იანვარი 1918 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

ჟურნალ „ჯეჯილისა“

I ნეტავი რა მოგველის! სურათი 2
II პეპელა ლექსი შ. მღვიმელისა 3
III მოუსვენარი. ცქვიტისა 4
IV პატარა გმირი. ელ. დ-წ-ელი 6
V კუჭის ზღაპარი (გურიაში გაგონილი) ჩაწერილი ნ. შ. 9
VI ბაბლი ეკ. გაბაშვილისა (დასასრული შემდეგ) . 13
VII კოწო და მისი ამხანაგები ან. წერეთლისა (შემდ. იქნება) 18
VIII პანდორას ყუთი (ბერძნული მითოლოგიადან) ა. ფ. 24
IX დედა და შვილი ლექსი შ. მღვიმელისა . . 30
X წვრილმანი; გამოცანები, ჩქარა-გამოსათქმელი, ამოცანა და რებუსი 31

XI დილა ლექსი ხ. ვარდოშვილისა.. . . . 33
XII ჭია მაია ცქვიტისა. 34
XIII კაპიტანი იანვარი თარგმანი ნ. შ. (შემდეგი იქნება) 38
XIV ჩვენი დედამიწა. გადმოკეთებული ელ. ჭიჭინაძისაგან (შემდეგი იქნება). 48
XV ოკაკოკი შინ ბრუნდება. თარგმანი სადიკოსი . 53
XVI რკინის ხზა ინჟ. ბ. ჭიჭინაძისა . . . 60
XVII ჩვენი სკოლები მასწ. ყარ. ჩხეიძესაგან წარმოდგენილი 64

მიიღება ხელის მოწერა

ჯეჯილზე

1918 წლისა

ოცდა მეცხრე წელიწადი

899.962.1(05)
ჯ-40
ეროვნული ბიბლიოთეკა



ჯეჯილი

საყმაწვილო ნახატებიანი

ჟურნალი.

იზარდე მწვანე ჯეჯილო,
დაპურდი გახდი ყანაო!..

ი. დ.

926
1135
950 ლ.

იანვარი 1918 წ.

წელიწადი ოცდამეცხრე

თბილისი, კავკასიის ბეჭდვითი ამხანაგობა. გოლოვ. ქუჩ. № 26.

ნეტავი რა მოგველის!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

362

პეპელა.

აწინწკლული, ჭრელ-
კაბა
დაფრინავს, დაფარფატებს;
სოფელს არას უშავებს
და არცარასა მატებს.

მისი საქმეოფი ბინა—
მინდორი და ველია,
ჩვენი ცელქი ბალღების
დიდი საყვარელია.

ყვავილებთან საუბრობს,
ყვავილებთან ფრიალებს,
სანდისსან ემაწვილების
გუნდშიაცა ცქრიალებს.

შ. მღვიმელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოუსვენარი.

ალიმემ ჰაწია სანდრა თუნუქის ღუმელის გვერდით დასვა, ხელში ჰურის ყუა მისცა, ციცხვიც იქვე გვერდით სათამაშოთ მიუდო და თვითონ კი შეშის შემოსატანათ გარეთ გავიდა.

სანდრამ დედის განშორებაზე ის იყო ჰირი დაადო, უნდა ხმა მაღლა აღრიალებულიყო, მაგრამ ამ წამს თოვლა ტახტ ქვეშიდან გამოძვრა და მარტო დატოვებულ ბავშს კუდის ქნევით მოულაქუცა. ძაღლის დანახვაზე ბავში მხიარულათ აფორთხალდა, მაშინვე თავისუფალი ხელი ძაღლს ჰირისაკენ მიუტანა და ჰაწია თითები შიგ ჰირში ჩაუდო. თოვლა ბავშის თითებს კბილებს არიდებდა და ახლა ტიტველა და ფუნჩულა კანჭებს ულოკავდა. ფესების ლოკვა სანდრას ძლიერ ეღიტინა, მეორე ხელით დაბღუჯული ჰური იქვე დაადგა და ორივე ხელებით ძაღლს ბუძგვა დაუწყო:

ამ დროს სანდრას მეორე ამხანაგმა—ფისომაც, ფითქოს იდროჯაო, ფანჯარიდან შურდულივით გადმოაშავა და ძირს დაგდებულ ჰურს ეცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თოვლას ძლიერ ეწყინა ფისოს სუნაგობა და, თუმცა არას დროს არ ეჩხუბებოდა, მაგრამ ახლა კი, კბილებ დაკრეჭილმა, ღრენა დაუწყო.

ფისომ თავი მოიმარჯვა, აიბუძგა და ისეთ ფრუტუნს მოჰყვა, რომ თოვლა იძულებული იყო უკან დაეწია და უარესათ ყეფა დაუწყო. ძაღლისა და კატის ჩხუბზე სანდრა უფრო აღელდა, ახლათ ფეხ ადგმულმა ვედარ მოითმინა, მთვრალი კაცივით ბარბაცით ძლიეს წამოდგა და ძაღლს გაფოთებით ციცხვით ცემა დაუწყო. ციცხვი ძაღლს კარგად ვერა ხვდებოდა, სამაგიეროთ ერთხელ ღუმელს მოხვდა და, რახუნი რომ მოიღო, სანდრას ისე ძლიერ მოეწონა, რომ ახლა ღუმელს მიუბრუნდა და ასეთი ხმაურობა ასტეხა, გეგონებოდათ ინგრევა რაძეო. უარესათ გამხნევებული მოუსვენარი ამ ხმას ყვანყვალით აჰყვა, თავზივით შეიფორთხალა და თავი რაკი ვედარ შეიკავა, წატორტმანდა და ღუმელს, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ისე მიაწვა. ფეხებ დახლართულმა და სიძველისაგან დაცხავებულმა ღუმელმა ერთი კი დაიჭრიალა და დასაჭედი კამეჩივით, გვერდზე ერიალით გადაწვა. გულ გახეთქილი სალომე სახლში რომ შემოვარდა—საშინელი სურათი წარმოუდგა თვალ წინ: ძაღლი და კატა ერთმანერთს სცემდენ და ღრიანცელი აეტეხათ, ფეხებ შეფშლეკილი ღუმელის გვერდით, ნაცარში ამოგუნგლულ სანდრასაც ჰირი დაეღო და ძაღლთანა და კატასთან ერთად ისეთი საერთო ღრიალი აეტეხა, გეგონებოდათ მეორეთ მოსვლაა.

ცქვიტი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კატარა გმირი.

(მოთხრობა ინდოელი მწერლის, რაბინდრანატ თაგორის.)

ედა, მოდი წარმოვიდგინოთ რომ ჩვენ შორს, შორს მივდივართ და მივემგზავრებით უცნობ, საშიშ ქვეყანაში!

შენ ტახტრევანი ზიხარ და მე შენს გვერდით მოვაჯირითებ ჩემ ოქროსფერ ცხენს. სადამოა. მზე ჩადის. ჩვენს წინ გადაშლილია ნაცრის ფერი, სევდიანი უდაბნო. დედაბიწა, ჩვენ გარშემო, გაყვერნებული და ტიტველია. შეხ ჭკრთები და ჭფიქრობ:—«არ ვიცი ეს სად მოვედით!»—მე კი გეუბნები:—,,ნუ გეშინიან, დედა!''

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთელი მიდამო მოცულია მაგარი, ეკლიანი ბალახით. მხოლოთ ვიწრო, უსწორო—მასწორი ბილიკი სჯრის მას.

არ სიანს არსად ჯოგები. საქონელი შინ წასულა, სოფელში, თავ-თავის ბოსელში. სიბნელე უფრო და უფრო ჭეარავს მიწასა და ცას, და ჩვენ ვეღარ ვარჩევთ სად მივდივართ, შენ მიძახი მე და ჩურჩულით მკითხავ:—,,რა სინათლეა აი იქ, წელის ჭირას?"

—

უეცრათ საზარელი ძახილი ისმის და ჩვენსკენ ოთველი მხრიდან მორბიან რაღაც საშიში ლანდები.

შენ მოკუზული ხიხარ შენს ტასტრევანში და ლოცვით იმეორებ ღმერთების სახელს.

მხლებლები, შიშით აკანკალებულნი, ეკლიან ბუჩქებში იმალებიან. მე გიძახი შენ:—"ნუ გეშინია, დედა, აქა ვარ!"

—

გრძელი ჯოხებით ხელში და აწეწილ—დაწეწილი თმით თან-და-თან გვიახლოვდებიან საშიში ლანდები.

მე ვუყვირი:—«ფრთხილათ თქვენ, ეი, მკვლელებო! ერთი ნაბიჯი კიდევ—და სულს გაგაცხებინებთ!»

ისინი მაინც საზარლათ ჭკივიან და ჩვენსკენ მოისწრაფიან. შენ მტაცებ ხელში ხელს და მეუბნები: "შვილო, საყვარელო, ღვთის გულისათვის აერიდე მაგათ!"—მე კი გეუბნები:—,,დედა, აგერ ნახავ როგორ დაგუხვდები!"

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე დეზებს ვკრავ ცხენს, ჭენებით ვეგებები ლანდებს, ვემგერები მათ. ხმლებს და ფარებს საშინელი ჭახა-ჭუხი გაადგს. ბრძოლა უფრო და უფრო მწვავდება, მმაფრდება, და შენ, დედა, მთლათ კანკალი აგიტანდა, ეს რომ შენი ტახტრევანიდან დაგენახა. მაგრამ აი, მტრების ერთი ნაწილი გარბის, უმრავლესობა კი იქვე გდია, ნაკუწ-ნაკუწათ აჩეხილი.

მე ვიცი შენ ზიხარ მარტო, მოკუზული, შენს ტახტრევანში და ჰფიქრობ რომ შენი ვაჟი მოკლულია კიდეც. მაგრამ მე გიახლოვდები შენ, მთლათ სიხარულში ამოსვრილი და გეუბნები:—,,დედა, ბრძოლა გათავებულია!''—შენ გამოდიხარ ტახტრევანიდან, მკოცნი მე, მიხუტებ გულში და ჩურჩულით იმეორებ:—,,რა მეშველებოდა, ხომ დავიღუპებოდი, ჩემი შვილი რომ არ გამომეოლოდა თან!''

ათასი რამ ხდება, ქვეყანაზე, ყოველ დღე, ისეთი, რაც არავის არ ეჯერება. მაშ რატომ არ შეიძლებოდა ესეც მარილა მომხდარიყო, სინამდვილეში? ეს ემგვანებოდა წიგნში წაკითხულ, მშვენიერ ზღაპარს.

ჩემი ძმა მეტყოდა:—,,საკვირველია! მე კი მეგონა, რომ შენ ძალიან სუსტი და ნაზი იყავი!''

ჩვენი სოფლის მცხოვრებნი კი გაკვირვებით დაიწყებდენ ლაპარაკს:—,,რა ბედნიერებაა,-არა?-რა ბედნიერებაა, რომ დედას თან ბავში ასლდა!''

ელ. დ—წ—ელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კუჭის ზღაპარი.

(გურიაში გაგონილი.)

ეო და არა იეო რა. იეო ერთი დედაბერი და ბერიკაცი. ძალიან ღატაკები იყვნენ—ერთი გლახა ქოხის გარდა არაფერი გააჩნდათ. ცხოვრობდენ მათხოვრობით: ხან დედაბერი წავიდოდა სათხოვარში, ხან ბერიკაცი.

წავიდა ერთხელ ბერიკაცი. დიდხანს იარა სოფელ-სოფელ, ითხოვა და შეაგროვა ბევრი ქათმები. მოუყვანა დედაბერს და უთხრა: სედავ, რამდენი ქათმები მოგგვარეო? დედაბერს ძალიან გაეხარდა, მაგრამ ქათმის საჭმელი არაფერი მოეპოებოდა. დედაბერმა სთქვა: რაკი საჭმელი არაფერი გაგვაჩნია, ეს ქათმები დავკლათ და დავშაშხოთო. ადგენ, ეკვლა ეს ქათმები დაკლეს და დაშაშხეს. ქათმის კუჭები ერთად დააგროვეს და ცალკე ჭურჭელში დაშაშხეს.

მერე მისდგენ ამ ქათმებს და ცოტ-ცოტათი ჭა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეს. დიდხანს, დიდხანს ეფოთ. ბოლოს გაუთავდათ ქათმები და დაურჩათ მარტო კუჭები. ახლა კუჭებს მისდგენ და დღეში თითო კუჭს კმარობდენ. შეჭამეს ყველა, მხოლოდ ერთი კუჭი დარჩათ. ავიდა დედაბერი სხვენზე*) საცა კუჭის ჭურჭელი ედგა: უნდა ჩამოეტანა ეს უკანასკნელი კუჭი. ხელი რომ გაიწოდა ამოსაღებათ, კუჭი გაფართოვდა, შემოეხვია დედაბერს და ჩაელაპა. ჩამოგორდა ეს გაბერილი კუჭი და მიგორავს. ბერმა კაცმა ჰკითხა: სად მიგორავ, კუჭოვო?

— მე დედაბერი ჩაველაპე, ახლა შენ უნდა ჩაგელაპოო. გააღო პირი და ჩაელაპა ბერი-კაცი. კიდევ უფრო გაიბერა კუჭი და გაგორდა შარა-გზაზე. მიგორავს კუჭი და შეხვდა ქვეითი კაცი.

— გამარჯობა, კუჭო, შენ სად მიგორავო, ჰკითხა კაცმა.

— მე დედაბერი ჩაველაპე, ბერი კაცი ჩაველაპე, ახლა შენ უნდა ჩაგელაპოო. უთხრა კუჭმა და ჩაელაპა ქვეითი კაციც.

მიგორავს კუჭი, მიგორავს და შეხვდა ცხენოსანი კაცი.

— გამარჯობა, კუჭო, შენი, სად მიგორავო?

— მე დედაბერი ჩაველაპე, ბერი-კაცი ჩაველაპე, ქვეითი კაცი ჩაველაპე, ახლა შენ უნდა ჩაგელაპოო. უთხრა კუჭმა. და ჩაელაპა კიდეც ცხე-

*) სახლის ჭერსა და სახურავს შუა ცალიერი ალაგი, სადაც ინახავენ საოჯახო კუთვნილებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოსანი. გასიგდა კუჭი ძალიან. მიგორავს, მიგორავს და შესვდა მეურმე ურმით.

— გამარჯობა, კუჭო, შენი, სად მიგორავო. ჰკითხა მეურმემ.

—მე დედაბერი ჩავულაპე, ბერიკაცი ჩავულაპე, ქვეითი კაცი ჩავულაპე, ცხენოსანი ჩავულაპე, ახლა შენ უნდა ჩაგულაპოო. უთხრა კუჭმა, და მართლაც ჩაულაპა მეურმე მისი ურმით. გასიგდა კიდევ უფრო კუჭი; მიგორავს, მიგორავს და ვნახოთ, მოდის მეფე თვისი ჯარით.

—გამარჯობა, კუჭო, შენი, სად მიგორავო, ჰკითხა მეფემ.

— მე დედაბერი ჩავულაპე, ბერიკაცი ჩავულაპე, ქვეითი კაცი ჩავულაპე, ცხენოსანი ჩავულაპე, მეურმე და მისი ურემი ჩავულაპე, ახლა შენ უნდა ჩაგულაპო შენი ჯარითურთო. მართლაც ჩაულაპა მეფე და მისი ჯარიც.

ახლა სწორეთ გორისოდენა გახდა კუჭი, მიგორავს, მიგორავს ძლივს ინძრევა, ისე დაძძიმებულია. ვნახოთ, მოდის თითის ტოლა დედაბერი, ხელში უჭირავს დიდი ჯოხი.

— გამარჯობა, კუჭო, შენი, სად მიგორავო, ჰკითხა დედაბერმა.

კუჭი მოუყვა: მე დედაბერი ჩავულაპე, ბერი კაცი ჩავულაპე, ქვეითი კაცი ჩავულაპე, ცხენოსანი ჩავულაპე, მეურმე და ურემი ჩავულაპე, მეფე და მისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯარი ჩაეულაპე, ახლა შენ უნდა ჩაგულაპოო. უთხრა კუჭმა...

თითის ტოლა დედაბერმა მოიმარჯვა ჯოხი. სთხლიშა და აკი გახეთქა ეს ვეებერთელა კუჭი! უცბათ გამოვიდნენ ეველა ჩაულაპულები: დედაბერი, ბერი კაცი, ქვეითი კაცი, ცხენოსანი, მეურმე ურმით, მეფე თვისი ჯარით.

მეფემ უთხრა დედა ბერს:

—მე შენ ისეთი სიკეთე მიეაეი, რომ უთუოთ დიდათ უნდა დაგასაჩუქროო; მითხარი რა უნდა მოგცე ამდენი სიკეთისთვისაო.

თითის ტოლა დედაბერმა მიუგო:

—მე შენი არაფერი მინდა. საჩუქრათ ისიც მეყოფა, რომ ამისთანა ხარბი და გაუმაძღარი რამ მოვსპეო, და გაუდგა თავის გზას...

ნ. შ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაგლი.



ედა მინდა, მინდა! როდის მოვა, როდის? ეკითხება ჰატარა ბაბლი თავის გამდელ სალომეს და თან ფანჯარაში იყურება, რომ დაინახოს შინ მამავალი დედა.

— მოთმინება იქონიე! როცა დრო მოვა იმის მოსვლისა, მოვა. ბაებაეით უპასუხებს ბებერი სალომე ბალღს და თან განაგრძობს ბაბლის საცვლების უთოობას.

— დედა მინდა! წუწუნებს გოგონა.

— რა ვქნათ რომ გინდა! დედა გაკვეთილებზეა წასული, გაათავებს და კაკებს მოგიტანს. წადი, დაჯექ კუთხეში, დედოფლებს ეთამაშე.

— მართასთან წავალ სამსარეულოში, კმეკმერას გამომიცხობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არ შეიძლებ, არ შეიძლება! ხომ იცი რომ დედა ნებას არ გაძლევს კუხნაში სიარულისას.

— მე მიყვარს მართა, მიყვარს! ის ზღაპრებს მიამბობს, ლექსებს მეტყვის ხოლმე...

— აკი საჯმელებს იმიტომაც მშვენივრებს აკეთებს, რომ ზღაპრებს და ლექსების თქმაში ვარჯიშობს! დაცინვით ამბობს სალომე. მე კი არ ვიცი ზღაპრები და ლექსები, მაგრამ სადა მცალიან საზღაპროთ, ხომ ხედავ, საქმე მაქვს, წადი, დედოფლები ითამაშე. დედაც მალე მოვა.

ბაბლიც მიდის დედოფლებთან, რომელნიც ორ დიდ ედიან დაეუდებულ წიგნ შუა, ვითომ ოთახათ გაკეთებულში, ჩამწკრივებულნი სხედან და იწუებს იმათთან ლაპარაკს, მაგრამ დედოფლები მხოლოდ უსმენენ პატარას და პასუხს კი არ ეუბნებიან. ბაბლის ბევრი რამ უნდა შეიტყოს და პასუხს კი არავისაგან ღებულობს.

—

სამი საათია. აი დედაც მოვიდა. ბაბლი კისერზე ჩამოეკიდა, დედაჯან, ჩემო კარგო დედა, მოხველ?! მოხველ! მე მარტოკა ვარ, ნუღარ წასვალ, აღარ გაგიშვებ!

— კარგი, კარგი, თავიდან იშორებს დედა პატარას.

— მთლად სველი ვარ! წადი, სალომეს უთხარ მშრალი ბაშმაკები მომიტანოს, ბუხარში შეშა შეუმატოს, მცივა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაბლი სიხარულით გარბის; დედის საშინაო ფეხსაცმლებს მოარბეინებს, ცდილობს თითონ გახადოს დასველებული და ტალახით მოსვრილი ფეხსაცმელი.

— შენი საქმე არ არის, უჯავრდება დედა. იქით წადი, ხელები გაგესვრება, სალომე გამხდის.

სადილზედაც დედა დაღონებული ზის, თავჩაღუნული საჩქაროთ სვრეპავს წვენს და ბაბლის განუწყვეტელ ჭიკჭიკზე ძლივძლივობით უპასუხებს: დაღალული ვარ. მერე, მერე გენაცვალე, ეხლა ჩუმათ იყავ...

— შენ კიდევ წახვალ? ოდნავის ამოხვნეშით ეკითხება ბაბლი დედას.

— არა, მაგრამ სადილ შემდეგ აქ მოვა მოწაფე, აქ უნდა მივცე გაკვეთილი...

და სადილს უკან იწყება მუსიკის გაკვეთილი. ტიკ-ტაკ, ტიკ-ტაკ, ტიკ-ტაკ! თითქმის ბინდამდინ. ბაბლი კუთხეში ზის; ჩუმათ არის; დედას სმის გასაცემათ არ სცალიან; ის მოწაფეს ხელებში უყურებს და ფეხის ცემით კლავიშების ხმებს ზომიერებას აძლევს. სალომე აუთოებს; მართასთან არ უშვებენ: ,,ის ჭუჭეიანია, ქვაბებს ხეხავს''; კარში ცივა, ეზოში ტალახია! მაშ რა ქმნას ბაბლიმ? რა გააკეთოს, ვის მიმართოს?

—

აი საშობაო დღესასწაულები დადგა. ბაბლის სიხარულს საზღვარი არა აქვს, დედა დაწოლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროს ზღაპრებს, მშვენიერ ზღაპრებს უამბობს; დილით ტანთ აცმევს; სასეირნოთ მიჰყავს; გზა და გზა ეველაფერს უსწნის; უჩვენებს მაღაზიებში გამოფენილ რაგინდარას, სადამ-სადამობით ფორტოპიანოს უკრავს და ზედ ნელ-ნელა ნანინასავით დამღერის; ოთახში ბინდ-ბუნდია. ბაბლი ჰატარა სკამზე დედის მუსლებთან ზის და ეურს უგდებს იმას ძრიელ უყვარს მუსიკა. ის დიდივით ჩაფიქრებული ზის და თან ტკბილათ ოცნებობს; რა კარგია დღესასწაულები, დედა სულ ჩემთან არის! თავის ლამაზის სმით, ლამაზ ჰიესების დაკვრით მახარებს და ის საბაგელი ბალღების ტაკა-ტუკი ალარ მესმის!

— დედაჯან, ჩემო კარგო დედიკოჯან, რად დადისარ გაკვეთილებზე, რატომ სულ ჩემთან არა სარ? ტუტუნებს ბედნიერებით საკვსე ბალღი და დედის კალთას ეკვრის, ისე წუნარად, ნაზად კი რომ დედამ არ გაიგონოს, დედას სიმღერა არ შეუშალოს.

დედას კი ესმის ბაბლის ალერსი, სიხარული— და ჰირი უღიმის. მზად არის დიდხანს, დიდხანს განაგრძოს თავის ძვირფასის სიამოვნება; მაგრამ აი ზარის ხმა ისმის და სტუმარი შემოდის.

დედა სტუმარს ეგებება, იმასთან ბაას იწყებს და ბაბლის კი დედოფლებთან სათამაშოთ ისტუმრებს:-,,წადი, წადი, გენაცვალე, დედოფლები დააძინე.''

— არ მინდა დედოფლები! არ მინდა! იბუტება ბაბლი—მე მინდა შენთან ვიუვე, მინდა რომ მე მოლაპარაკო, მე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ხომ გაიგე რომ აღარა მცალიან, წადი! უფრო მაღალის ხმით ეუბნება დედა.

— დედაჯან, დედაჯან! მარტო არ მინდა ყოფნა, აქ ვიქნები შენთან, და თან ტირილით ელზედ ეხვევა დედას.

დედასაც ცრემლები მოსდის თვალებში, მაგრამ რა უყოს სტუმარს? სალომე შემოდის და ხელში აეკანილი, გაჭირვეულებული ბაბლი გაჰყავს მეორე ოთახში, საიდანაც კიდევ დიდ ხანს მოისმის იმის ფეხების ჭარტეკანი და ტირილი.

— იცი, მეგობარო, რას გირჩევ, ეუბნება სტუმარი ბაბლის დედას,—საუმაწვილო ბაღში მიაბარე. ჩინებულათ არის მოწყობილი და შენი გოგონაც გაერთობა ბავშებში და თან მასწავლებელთა ხელმძღვანელობით გონებას გაიხსნის და სკოლაში შესასვლელათ მოემზადება.

(დასასრული შემდეგი იქნება)

ეკ. გაბაშვილისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კოწო და მისი ამხანაგები.



ოწოს საუკეთესო მეგობრები იყო ეზოს ორი ბანჯგვლიანი ძაღლი, ორივე შავი, ევითელი წინწკლებით დინგზე; ისე გვანდენ ერთმანეთს, რომ კოწოს დედა ვერ არჩევდა მათ. ამაზე კოწოს სიცილი აუტეხებოდა და ეტეოდა დედას:

— ჩემო დედიკო, როგორ ვერ არჩევ? აი ეს გეკტორია, ეს კი ნერონია, სულ სხვა და სხვანი არიან.

მაგრამ დედა მათში ვერაფერს განსხვავებას ვერ ხედავდა.

— ეგენი ძალიან გვანან ერთმანეთს, თავს იმართლებდა დედა,—როდესაც ერთათ არიან თითქოს განსხვავებას ვხედავ, გეკტორი უფრო სქელია.

თვითონ კოწო კი კარგათ ხედავდა განსხვავებას. ნერონი უფრო უფვარდა. გეკტორიც რასაკვირველია უფვარდა, მაგრამ ნერონს უფრო ეალერსებოდა. გეკტორს რაღაც სევდიანი თვალები ჰქონდა და საშინე-

ლი უსასიათო იყო. როდესაც კოწო ეზოში გამოჩნდებოდა—ნერონი სიხარულით მიეგებებოდა, წკმუტუნებდა და ზედ ახტებოდა. ულოკავდა კოწოს პირის სასეს და დაუსრულებლივ ეალერსებოდა, გეკტორი კი ნელის ნაბიჯით უახლოვდებოდა, კუდს აქიცინებდა და ფეხებში ებლანდებოდა.

როდესაც ეზოში უცხო ძაღლი შემოვიდოდა, გეკტორი კბილებს კრეჭავდა და საშინლათ მოჰქვეებოდა ღრინვას, მაშინ უცხო ძაღლი ვერას ბედავდა და კუდ ამოძუებული გარბოდა, ნერონი კი სულ სხვა ნაირად იქცეოდა: ეცემოდა, ჰქეფდა, თითქოს ლამობდა მის გაგლეჯას და ისეთ ხმაურობას ასტეხდა, რომ ყველას აერუებდა. უცხო ძაღლებს ამისი სულაც არ ეშინოდათ.

კოწო ყოველ დღე გადიოდა სასეირნოთ ველ—მინდორში. მხარზე გადიგდებდა ჯოხს, ვითომდა თოფიაო, ქამარში ჩაირჭობდა ხის ხანჯალს და თავი დიდებული მონადირეთ მიაჩნდა. მას ეგონა რომ ინდოეთის ჭაობებშია და უსათუოთ ვეფხს წააწყდება. მისი ერთგული ძაღლები, ხომ მასთან ერთად იყვენ, ისინი რასაკვირველია მივარდებიან ვეფხს, კოწო დაუმიზნებს თოფს და ჰაე, ჰუჰე მოჰკლავს საშინელ მხეცს.

კოწო თავ მომწონეთ და გაბედულათ გადიოდა სახლიდან. ნერონი და გეკტორი წინ მიუძღოდენ. ამათ უკან მისდევდა წენარი ნაბიჯით კუდ აბზეკილი, ნებიერი ღრუტუნა კატა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს ველ-ძინდორი სულაც არ მიეგვანებოდა ინდოეთის ჯაობებს. საითაც გაიხედავდით, სულ ბალახი და ბალახი იყო-გამხმარი, მზისგან დამწვარი. გზა გორაკზე ადიოდა; კოწო ავიდოდა აღმართზე, იქიდან მარჯვნივ დამუშავებულ მინდვრებს ხედავდა, მარცხნივ კი, სულ მოშორებით, მოჩანდა ტყე, მის გარშემო ცარიელი ადგილები, საიდანაც მოსალოდნელი იყო რომელიმე გარეული ჰირუტყვის გამოვარდნა.

ნერონი და გეკტორი მხიარულათ დახტოდენ მინდორში; ხან წინ გარბოდენ, ხან უკან მოჰქვევებოდენ, გადუხვევდენ მარჯვნივ, გადუხვევდენ მარცხნივ. სუნავდენ



მიწას, ჰაერს, და დაინახავდენ თუ არა შორიდან გამოსულ ზაზუნას, მაშინვე მივარდებოდენ. ზაზუნა კი ჯერ უკანა ფეხებზე შედგებოდა, მერე ერთ წამს ჩაძვრებოდა სოროში. ჰირველათ ნერონი მივარდებოდა, სოროში შეჰყოფდა თავს, მოჰქვევებოდა ფრუტუნს, აცემინებდა. სიშმაგით თხრიდა მიწას და თავს უფრო ღრმათ ჰყოფდა სოროში. გეკტორი კი ამავე დროს სხვა ზაზუნებს დაეძებდა და გულ დასმით ფრუტუნებდა.

ზაზუნების სოროები ამ მინდორში აუარებელი იყო და რადგანაც ორივენი ყოველ სოროში თავს ერთნაირათ ჰყოფდენ ხოლმე, ბევრს ვერას აწყობდენ.

ზოგჯერ მოხდებოდა რომ ერთ ერთი ძალლი, უფრო დარბაისელი გეკტორი, ზაზუნას დაიჭერდა. მაშინ ის დიდი ამბით მოურბეინებდა კოწოს და თავ მოწონებით წინ დაუგდებდა. კოწოც გადუსვამდა თავზე ხელს და გაძარჯვებას ულოცავდა. უჭკუო თაგქარიან ნერონს კი ცხვირის წინ ეცლებოდა დაველა, ის წმუტუნით და დაღონებით შესცქეროდა კოწოს. მაშინ კოწო შეიბრალებდა თავის საყვარელს, ჰკოცნიდა და ანუგეშებდა:

—არაფერია ჩემო ნერონ, მეორეთ დაიჭერ, უნდა მარჯვეთ მოიქცე, გიყივით არ იხტუნო.

მაგრამ ნერონს არაფერი შველოდა. ზაზუნას დაინახავდა თუ არა, ისეთ აღტაცებაში მოვიდოდა, რომ კოწოს დარიგება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოდა, ღრუტუნა კატა მის კალთაში მოიკალათებდა, ძაღლები ფეხთან მოუსხდებოდენ.

შურიან ნერონს არ მოსწონდა, რომ ღრუტუნას საპატიო ადგილი ეჭირა. იწყებდა წკმუტუნს, კოწოს მხარზე თავს უდებდა, თვალებში შესცქეროდა, თითქოს ლამობდა ღრუტუნას ძირს ჩამოგდებას, კატაც წამოუვარდებოდა, ბალანი აეშლებოდა და მოჭამებოდა ფრუტუნს. კოწო თითს უქნევდა ნერონს, უჯავრდებოდა, ბოლოს შეარიგებდა. კატას და ძაღლს საკოცნელათ ერთ მანეთს მიაჯახებდა. ღრუტუნა თვალებს ხუჭავდა და უკმაყოფილოთ ჰირს იბრუნებდა. ნერონი კი მაშინვე კატას ლოკვას მოჰკვეტდა. ასე ამნაირათ მშვიდობიანობა ჩამოვარდებოდა.

მერე კოწო ჯიბიდან ამოიღებდა რაც კი რამე სანოვაგე ჰქონდა წამოღებული: ჰურის და ქადის ნამტვრევებს, შაქრის კვნიტებს, მაგრათ მოხარშულ კვერცხებს და მკვახე, მწვანე ვაშლებს. ეველა ამას მშურათ ჭეოფდა. ასე გაშინჯეთ მწვანე ვაშლსაც ოთხათ ანაწილებდა. გემოს მცოდნე ღრუტუნა ვაშლს არ იკარებდა. გეკტორი ფრთხილათ იღებდა ვაშლს ჰირში, მაგრამ მაშინვე გამოაფურთხებდა. ნერონი კი არაფერს დასდევდა, ერთ წამს გადაულაპავდა, მას უსათუოთ ან გემო არაფრისა ჰქონდა, ან ისეთი დიდი მადის ჰატრონი იყო, რომ ეველაფერს სარბათ სანსლავდა. ის დაღეჭვათაც კი ეველაფერს ულაპავდა. ერთხელ კოწომ გადუგდო ნერონს საჰონი, ნერონმა დაუეოვნებლივ გადაულაპა და ჰირიც კი მოი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოკა. ის მადიანათ შეექცეოდა ხოლმე ბუზებს, ბუზანკალებს, აბანოს ჭიებს და სხვა მწერებს.

ერთხელ ნერონს უნდოდა ზღარბი შეეჭამა, მაგრამ მის ეკლებს წაეწედა. სიმწრით წკმუტუნი ასტეხა და გაიქცა, მაგრამ ისევ მალე დაბრუნდა, მონახა ზღარბი და ცხვირით მაღლა აისროლა, ცხვირი დაეჩხვლიტა, ძალიანაც ეტკინა. ამან ნერონი უფრო გააბრაზა და იმდენჯერ აისროლა მაღლა, სანამ ზღარბი არ მოკვდა და ეკლები არ გაშალა, დიდხანს სტკიოდა ნერონს ეკლებისაგან დაჩხვლეტილი ცხვირი. კოწოს ეცოდებოდა თავისი მეგობარი და ასე ანუგეშებდა:

— კარგი, გეეოფა, ნერონ, ნუ წკმუტუნებ, შენ ხომ გაიმარჯვე! ზღარბებს თავი დაანებე! თაგვები და ბაყაყები რამდენიც გინდოდეს სჭამე.

ნერონს თითქოს ესმოდა კოწოს ლაპარაკი. შესცქეროდა მას თავისი ლმობიერი თვალებით, კუდს იქნევდა და სიხარულით ზედ ახტებოდა.

ან. წერეთლისა.

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

პანდორას ყუთი.

(ბერძნული მითოლოგიადან).

ადწინდელ, შორეულ დროში ხალხი ისეთი კი არ იყო, როგორიც ეხლაა. ყველანი წუნარად სცხოვრობდენ. ერთმანეთი უყვარდათ, ეხმარებოდენ ერთი მეორეს. ადამიანმა არ იცოდა რა არის ბოროტება, ხიანჩხლე, შური, სიძულვილი, დარდი, ცრემლები.

ეი ამ დროს, დიდი ტეის შუა გულში სცხოვრობდა ორი ობოლი დაძმა. ძმას ადრასტი ერქვა, დას-პანდორა. ბავშებმა არ იცოდენ რა არის სიძვილი—მეზობლები ზრუნავდენ მათზე, როგორც საკუთარს შვილებზე.

ადრასტს თერთმეტი წელიწადი შეუსრულდა, პანდორას—ათი. ბავშებმა თავიანთი ოჯახი გააწყეს. პანდორა სახლში იყო, ადრასტი—გარეთ. შეშა, კაკალი, ხილი შემოჰქონდა.

ამ რიგათ სცხოვრობდენ ბავშები. იმ დროში ხორცს არა სჭამდენ, ადამიანი არა ჭკლავდა არც ჰირუტეკს, არც ფრინველს, არც თევზს. მხოლოდ პურით, რძით, მწვანილეულობით და ხილით იკვებებოდენ.

ერთხელ ადრასტი წავიდა ტყეში ხილის საძოვნელათ, ჰანდორა კი სახლში დარჩა. უცებ მათ ქოხში შემოვიდა ვიღაც უცნობი. ხელში ეუთი ეჭირა. სიტყვა არ უთხრა ჰანდორას. დასდო ეუთი მიწაზე და წავიდა.

გაუკვირდა ჰანდორას, ძლივს ეღირსა ძმის მოსვლას. ორივემ ეუთს თვალიერება დაუწყეს. ეს ეუთი ძალიან ლამაზი იყო. ოქროს სურათებიანი, გარედან ჩუქურთმებით შემკული.

არც ხელის მოსაკიდი, არც დასაკეტი არა ჰქონდა ამ ეუთს. ბავშვებმა გადასწყვიტეს, ეს ჰატარა დასაჯდომი სკამია.

ადრასტი გავიდა ქოხიდან, ჰანდორა კი ზის ეუთთან და თვალს არ აშორებს. უცებ დაინახა გვერდზე რაღაც ღილის მსგავსი.

,,ადრასტი'' დაიძახა მან, ,,მოდი აქ, გავაღოთ ეს ეუთი. ,,ადრასტი შემოვიდა ქოხში, ჰანდორა უყურებს, სადღაა გვერდზე ღილი.

გაოცდა ჰანდორა; ადრასტმა გაიცინა და უთხრა ,,ეს შენ უეჭველად მოგეჩვენებოდა'' :

II.

ეს დღე ჩვეულებრივად მხიარულათ და კარგად გავიდა. ბავშვები დასეირნობდენ ტყეში, თამაშობდენ. რომ შებინდდა, ჰანდორა გაიქცა სახლში ვახშმის მოსამზადებლათ. შეირბინა ქოხში. ხედავს ეუთზე ოქროს ღილი ბზინავს.

ამავე დროს გაიღო კარი და უცნობმა, რომელმაც მოიტანა ეუთი, შემოჰყო თავი და სთქვა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მარტო შენთვის არის ეს ეუთი, ჰანდორა, გესმის, შენთვის, შენთვის.“

შეკრთა ჰანდორა ამ სიტყვებზე, გაკვირდა. აქამდის ყველაფერი საერთო ჰქონდა ძმასთან—ეხლა კი ეს ეუთი რისთვის უნდა ერგოს მარტო მას?

მოესმა რაღაც ჩურჩული ეუთიდან—თითქოს ვიღაც არისო შიგ, ებღაუჭება, წრიპინებს:

„გამოგვიშვი, გამოგვიშვი, ჰანდორა, გაგვანთავისუფლე.“

შეშინებული ჰანდორა გამოვარდა ქოხიდან, და უამბო ყველაფერი ადრასტს, რომელიც იქვე შეხვდა.

როდესაც ადრასტმა დაათვალიერა ეუთი, არც ღილი, არც არაფერი სჩანდა, არც ჩურჩული ისმოდა.

„კიდევ მოგეჩვენა, ჰანდორა, ნუ ფიქრობ ამ ეუთზე, არაფერი არაა შიგ.“

ბავშები დაწვენ. ადრასტი აღელვებული იყო განაგონით, ჰანდორა კი გაჯავრებული, რომ ძმას მისი არა სჯეროდა.

დილით ადრე ადგა ჰანდორა.—

საოჯახო საქმეები ჰქონდა მოსათავებელი. უცებ შეხედა ეუთს და დაინახა, რომ ოქროს ჰატარა კაცები, რომელნიც გამოსახულნი იყვნენ ეუთის თავზე, გაცოცხლებულან, ემახიან მას, უცინიან, კიდევ ხედავს ოქროს ღილს, თითქოს ესეც ემახის. ჰანდორა თავს ძლივს იკავებდა:” ეგებ შიგ რამე კარგიაო,“ იფიქრა მან, ,,გავაღებ ჩუმათ, ადრასტი მაინც ვერ დაინახავს ამ ღილს, მას ეს ღილი ემალება.“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰანდორა დაიწია და მარდათ დააჭირა თითი ღილს.

უცებ ეუთიდან ამოსცვივდენ ჰატარა, სასიზღარი არსებანი, ყველანი მარდები, დამცინავი, გაბოროტებული იყვენ, ყველას საკუთარი წარწერა ჰქონდა; ერთს ეწერა „სიანჩხლე", მეორეს „ჯავრი", მესამეს „სიძულვილი". ყველას რაიმე საშინელი სახელი ჰქონდა, სულ ბოლოს ამოცვივდენ ორნი, დანარჩენებზე უფრო დიდებიც იყვენ და ლამაზებიც. ერთს ერქვა „იმედი", მეორეს კი „სინანული."

სინანულს გულზე ჰქონდა დაკიდებული ჯურჯელი, რომელშიაც ცრემლები იყო მოგროვილი.

„იმედი" და „სინანული" მოშორდენ სუეველას და მიიმალენ ოთახის კუნჭულში.

ამ დროს ოთახში ადრასტი შემოვიდა. დაინახა გაღებული ეუთი, დარცხვენილი ჰანდორა და სასიზღარი არსებანი,—მიხვდა რაში იყო საქმე.

„რათ გახსენი ეუთი, ჰანდორა," უსაყვედურა დას. ჰანდორას უნდა ეთქვა, როგორ მოხდა ეს. მაგრამ ამ დროს ერთი სასიზღარი არსება, სახელათ „სიცრუე", შეუძვრა გულში. „მე არ გამიღია" წარმოსთქვა ჰანდორამ.

ეს იყო პირველი ტყუილი დედა-მიწაზე თქმული.

„რათ აბბობ ამას" სიმწარით უთხრა ძმამ და უნდოდა მიჰფერებოდა.

ამ დროს მეორე მახინჯი, სახელათ „სიანჩხლე" მიაფრინდა ჰანდორას და ჩაუძვრა გულში. „გამეცალე, გაეთრიე, რა გინდა ჩემგან" სიბრაზით წამოიძახა ჰანდორამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქამომდეს ბავშვები არ წაჩხუბულან, არასოდეს ერთმანეთისთვის არ უთქვამთ ცუდი სიტყვა. ადრასტი შეკრთა, ჰანდორაც ვერ მიმხვდარიყო რა ეძართებოდა: ის იტანჯებოდა, ადრასტის რომ ამ მდგომარეობაში ხედავდა, თანაც გრძნობდა, რომ ის იყო მიზეზი ადრასტის დარდისა, მაგრამ თანაც ჯავრი მოსდიოდა ძმაზე და ბრაზი ახრჩობდა.

,,მე არ მინდიხარ შენ, დაუყვირა მან, გაგიდა ოთახიდან და სძაურობით მიიხურა კარი. განცვიფრებული ადრასტი აფაციცებდა თვალებს.

მზე უწინდელივით მხიარული და მშვენიერი იყო. ოთახიც უწინდელი იყო. ფანჯარასთან ისევ ის ბალი იყო, მაგრამ ადრასტს ეს ყოველისფერი სხვა ნაირად ეჩვენებოდა, თითქოს ღრუბელმა დაჭფარა ირგელივ ყველაფერი.

მან შეხედა ეუთს, შიგ ჩაიხედა. ეუთი თავ-ახდილი იყო, ძირზე ეწერა: ,,ძათთვის, ვისაც მარტო თაეიანთი თავი უყვართ''.

ამ დროს ერთი არსება, სახელად ,,სინანული'', გამოფრინდა კუნჭულიდან და ნაზი სიმღერით გაფრინდა გარეთ, სადაც გაჯავრებული ჰანდორა კარს უკან იდგა.

,,შეურიგდი ძმას, და რომ გაგიადვილდეს ეს, აი რას მოგცემ''—მან გამშრალ თვალებში შეასხურა მხურვალე ცრემლი და ჰანდორამ ტირილი დაიწყო.

ცრემლებმა შეუმსუბუქა დარდი. ეს ხომ ჰირველი დარდი იყო.

,,ეხლა გაიცან ჩემი და,'' სთქვა ,,სინანულმა'' და აჩვენა ჰატარა ქმნილება, კეთილი სახისა.

ეს იყო,,იმედი''.

,,ნუ დაივიწყებ ამას დარდის დროს'' სთქვა ,,სინანულმა'' ჰანდორამ შეირბინა სახლში—ადრასტი იქ იყო, მოეხვია მას, ორივენი ტიროდენ.

ცრემლებმა შეარიგა ბავშები. ,,მე მიხარია, რომ შენ უწინდელი ჰანდორა ხარ,'' უთხრა მხიარული ღიმილით ადრასტმა ,,ამ საზიზღარ ეუთს კი შემათ დავაჭობ'' მან აიღო ცული და ნაფოტებათ აქცია ეუთი და მისცა ცეცხლს. მაგრამ რაც ეუთში იყო მისი დაწვა ადრასტს არ შეეძლო. ეს მახინჯები მოედგნენ მთელს ქვეყანას, დაიბუდეს ადამიანის გულში და ბევრი უბედურება, ავათმყოფობა და დარდი გააჩინეს დედა—მიწაზე.

ვინ აიტანდა ამოდენა უბედურებას, ადამიანს რომ არა ჰქონდეს ნუგეშის მცემელი ,,იმედი,'' რომელიც ამხნევებს მას, ამაგრებს უბედურებაში,

ა. ფ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დედა და შვილი.

ვილო, დედა გენაცვალოს,
ჩვენც გვეღირსა სოფლად სკოლა!
ესლა დროზე უნდა ადგე,
აღარ გარგებს დიდხანს წოლა.

შენც კი, გატეობ, გისარიან,
დედის გულთან შენცა ჭღელავ,
სკოლისთვის რომ გაგამზადებ,
კოხტა სალათს შეგიკერავ.

შ. მღვიმელი.



ეროვნული
ბიბლიოთეკა



გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი

ერთი კაცი თავისი ცოლით და დით შევიდენ სასტუმროში, თან შეჰყვა მეორე კაცი თავისი ცოლითა. მოითხოვეს ვახშამი. მსახურმა მოუტანა ოთხი კერძი. თითოს თითო კერძი ერგო, რატომ?

(წარმოდგენილი ნატ. ოზმაიფარაშვილისაგან)

არა ვარ ტყისა ნადირი, არც ქვემძრომი მიწისა მწერი,
სახლში ვზივარ უდარდელათ, თავზედ მაფარია ჭერი.
ჩემს ენაზე ვლაპარაკობ და ხანდისხან კიდეც ვმღერი.
ყველამ იცის რომ ჩემი თქმა მართლათ არის დასაჯერი,
ჩემი შეკითხვით კეთდება შინ და კარში ყველაფერი.

ჩქარი გამოსათქმელი

(წარმოდგენილი ალ. სოხაზესაგან.)

ჭინჭრაქა რომ ჭრაქზე დაჯდეს ჭრაქი გაჭინჭრაქავდება.

რეგვენი მივროზგ—მოვროზგე გაროზგვილი გარეგვენდება.

ა მ ო ც ა ნ ა.



ქვემო მოყვანილ უჯრებიდან, რომელიც შედგება ოცდა ოთხ წუმწუმიდან მოაცალეთ რვა წუმწუმა ისე, რომ დარჩეს ხუთი თანასწორი უჯრა.

ყმაწვილებო, თქვენ შეგიძლიანთ, თუ გულს დაუდებთ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადვილათ გააკეთოთ წუმწუმისაგან და მუხუდოს ან სირსვალის მარცვლებიდან სათამაშო ავეჯეულობა, აი ასე უნდა: მუხუდოს მარცვლები უნდა კარგათ დაალბოთ, რომ შიგ ადვილათ გაირჭოს წათლილი წუმწუმის წვერი. ამ გვარათ გაკეთდება სკამი, მაგიდა, საწოლი და სხვა ავეჯი. მხოლოთ სადაც საჭირო იქნება პრტყელი ფიცარი—გაიკვრის კარდონი.

რებუსი

(წარმოდგენილი მ. ლობჟანიძისაგან.)

’მ 100’ თ



, ძი

ვ 1 ,, ვ

, მ ,, ჩ ე

ნ 2 ვ ა

ე
ლ ო
ზ



ეროვნული
ბიბლიოთეკა

დ ი ლ ა.

ელ-ქი დილაა... მზის სხივებს
შეუმოსიათ მთა-ველი,
გაულვიძია ბუნებას,
ლხინობს, ზეიმობს ყოველი!

—

მდელოში ცვარი ციმციმებს,
ვარდს დაუხრია თავია,—
გულს ალხენს ფრთოსანთ ჟღურტული
საამო, მომხიბლავია!

—

მერცხალი ცაში ნავარდობს,
ვარდნარში მღერის ბულბული,
,,კაფე-თესეო'',-იძახის
ჩიტების მტერი გუგული!

—

გაცოცხლებულა სამყარო,
გაულვიძია ყველასა,
წყარო ბანს აძლევს ჩუხჩუხით
მუშების ,,ოროველასა''!

—

ეშხიანია ბუნება
ამ სანეტარო დილისა —
მომგვრელი ბედნიერების
საამოსი და ტკბილისა!

ხ. ვარდოშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჭია მაია



ბინრ ბალახებ შორის. ზღვის ქაფის მგზავს მაღალ ღრინჭოლას თეთრ ყვავილში პაწია ჭია მაია სცხოვრობდა. დილით, რაკი მზე მთების იქით წვერებს ამოჰყოფდა, ჭია მაია შავი წინწკლებით მოქარგულ წითელ

კაბას კოხტად შეისწორებდა, შემდეგ იქვე ბუერას. დიდ ფოთოლზე მოგროვებულ დილის ცვარში მოხდენილათ ჩაიხედავდა და გულ აფანცქალებული ფრთებს გაშლიდა და ვინ იცის საით გაქანდებოდა.

როცა კი უნდა გეკითხათ ისე გაფაციცებით სად მიესწრაფოდა, ან ისეთი რა საქმე ჰქონდა რომ დილით პატარა ოდენ დანაყრებასაც კი ვერ ასწრობდა-ჩვენი პაწია და უწყინარო ჭია მაია სირცხვილით უფრო აწითლდებოდა და დარცხვენით ყველას ამას გიპასუხებდათ:

— ღმერთმა ნუ იცის ჩემი თავი, განა მე კი ვიცი საით მივფრინავ! მხოლოდ ეს ვიცი, რომ გათენებისას სიო შეარხევს თუ არა ჩემს აკვანს, მე იმ წამსვე კაი მადლიანი მოსაქმესავით თვალებს გულ გახეთქილი გამოვაჭყეტ და მოვკრავ თუ არა ლურჯად გაღიმებულ ცას თვალს, გული უფრო მოუსვენრად დამიფრთხიალებს და მაშინ განა ვინმე ერთ ადგილას გამაჩერებს. ხომ კიდეც მოვკვდი, რომ ქვეყანა აქა-იქიდან სხვა და სხვა სახით შემცქეროდეს, იქ ვარდკაჭაჭ ჰაეროვან არახჩინის ნელი რხევით თვისკენ გიწვევდეს, აქეთ მრავალ გვარი ყვავილები და ფოთლები ათასი ხმებით რაღასაც ჩაგჩურჩულებდენ, სადმე ხვართქლა გულში გაბნეულ ალმასის თვალს მზის სხივებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზე თვალწარმტაცად ათამაშებდეს და მე კი აქ ერთ ალაგას გავჩერდე?! ან კი რა გამაჩერებს! აკი მოგახსენეთ, გავაჭყეტ თვალებს თუ არა ჩემს გულს ისეთი მოუსვენრობა ავსებს, რომ ლამის დავიხრჩო, მაგრამ საკვირველი უფრო ის არის, რომ რამდენადაც გარემო თვალ წარმტაცად მეჩვენება, იმდენად უფრო ისეთ მოუსვენრობას ვგრძნობ და თან ისე მეჩვენება, თითქოს ეს ჩვენი მშვენიერი ქვეყანა სადმე გამექცევა და მე კი უშნო და ულაზათო ჩამოვრჩები მეთქი, და მივფრინავ როგორც გიჟი. ქვეყანას ისე ვედები—იქ ვაშლის ყვავილს მივვარდები, ვსუნავ, ვსტკბები და არა მჯერა, მართლა ვუმზერ თუ მელანდება, თან იმასაც კი აღარა ვგრძნობ-მისი სუნი როგორ მათრობს და უარესად მაღელვებს. შემდეგ სოსანთან გავვარდები, იქიდან თეთრ ვარდს ვეწვევი და ბოლოს მოქანცული სადმე ბალახებზე უღონოდ ჩამოვარდები და ვარ ჩემთვის გარინდებული-გაბრუებული, მაგრამ გულში კი ის ოხერი მოუსვენრობა ისევ ისე მიტრიალებს და თითქოს კიდევ დროს ელის... ახლა აქ მატიტელას ან ღიჭის კრეფის დროს რომელიმე პატარა გოგო მიპოვნის, ხელში სიხარულით ამიყვანს და პირ მოცინარი, წკრიალა ხმით იმდენს შემომძახის: ჭიავ, ჭიავ მაია, ნუცა საით გათხოვდება, ჭიავ, ჭიავ მაია, ნუცა საით გათხოვ-

დებაო? რომ უცებ ვერკვევი, ძალაც უმალ მემატება და მეც ეგ მინდა; თითქოს მართლა რამე მომეხსენებოდეს, მის ჩამოძახილზე გაჭენებული ცხენივით ერთს კი დავიძვრები და რომელიმე თითის წვერს მივახწევ თუ არა-მარაოსავით გავშლი ფრთებს და საითაც ცა უფრო ლურჯად მელანდება, იქით მივფრინავ და იქ მივეშურები.

ხალხს კი ჰგონია, რომ მეც სხვასავით რაღასაც ვაკეთებ, ნამდვილად ყოვლად გამოუდეგარი ვარ, ისეთი გამოუსადეგარი, რომ ლამის ბოღმამ ამაზედ უარესად დამლიოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ დამიჯერებთ, ძუძუ მაყვალას სინაზეს ვფიცავ, ჩემი თავი ჭირივითა მძულს; მეტადრე აგერ, იმ ფუტკარს რომ დავინახავ ან ზურგზე ტვირთ წამოკიდებულ ჭიანჭველას თვალს მოვკრამ, ისეთი ბრაზი მომდის, რომ ლამის გადავირია, მაგრამ რამდენად ამას მწვავედ განვიცდი, იმდენად უფრო ფუქსავატ და უაზრო მოუსვენრობას ვეძლევი და აი ასე ყველგან გიჟივით დავფრინავ—

ეტყოდა ხოლმე გულ ახდილათ ჭია მაია და ბოლმის მოსანელებლათ ისევ სადღაც მიჰქროდა.

ერთხელ ნავარდობის დროს ჭია მაიას ქარმა უცხო ადგილას მოასწრო და რაკი სახლში დაბრუნება ველარ გაბედა ზზის ჩასვლისას ტყის განაპირას საროს ყვავილს სტუმრათ ეწვია და გათენებაც იქ გადასწყვიტა.

მთელი ღამე თვალზე ლული არ მოსვლია, რადგან გარშემო ყველაფერი უცხო იყო მისთვის და ყოველივე სულ სხვანაირად ეჩვენებოდა. ღამის სიო ფოთლებს გასაოცარ ხმაზე ამრიალებდა, ურწყავიდან დაქანებული ნაკადული ხომ განუწყვეტლივ მღეროდა და მთვარის შუქზე მისი პაწია ტალღები ისე გასაოცრად რომ ელვარებდა— ჭია მაია კინაღამ გადაირია.

ბევრჯელ სულ განაბული გარემო მშვენიერებას თვალს არიდებდა, ზემოთკენ იხედებოდა, მაგრამ ცის ლურჯ სივრცეში ათასობით მოციმციმე ვარსკვლავთ თვალს რომ მოჰკრავდა, მაშინ კი აღარ იცოდა სად გადაკარგულიყო,. თავისივე აღტაცებას სად გაჰქცეოდა.

გარიჟრაჟზე, როდესაც ცისკარმა გაცრიაგებულ ტატნობზე ცეცხლივით ამოაშუქა და სხივებით თამაში დაიწყო ჭია მაიამ ვერ მოითმინა, საროს ყვავილს სულ კენწეროში მოექცა, აღელვებულმა გარემოს მიმართა და პაწია ხმით ასე დაიწყო:

—გესმის, ცაო, ღრმავ და დაუსრულებელო, შენ ეი, მოციმციმე დილის ვარსკვლავო! თქვენ, საყვარელნო და მძინარე ვარდ-ყვავილნო, და მთის შავო ლანდებო, ხედავთ რა პაწაწა ვარ და უმნიშვნელო! თქვენ ხომ ვერასოდეს ვერ დამინახავთ და ვერ მიხვდებით ამ პაწია ჭია-მაიას გულში რა ცეცხლი ღვივის, ხომ ვერ მიხვდებით რა ძლიერ მიყვარხართ, ისე მიყვარხართ, ჩემო ვარსკვლავო, დილის რიჟრაჟო და შენ, მთელო

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამყარო, რომ ზოგჯერ ასე მგონია, რომ უცებ ვიზრდები, ისევ ვიზრდები, რომ სიდიადით თქვენ გედრებით და მაშინ ასე აღარ ვიტანჯები; იმ წამს კიდეც მიხარიან, რადგან იმას ვგრძნობ, რომ მეც, ეს პაწკია ჭია მაიაც, ძლიერი ვარ და თუ თქვენ იმისთვის სუფევთ, რომ სილამაზე წარმოშვათ მეც იმისთვის ვარ, რომ ყველაფერი ძლიერ მიყვარდეს, ყველაფერს ძლიერად ვგრძნობდე და იმისათვის ვიტანჯებოდე... კიდევ რაღაც უნდა ეთქვა ჭია მაიას, მაგრამ ამ წამს განთიადის სიომ ისე მძლავრად დაჰბერა, საროს ყვავილი სხვებთან ერთად გასაღვიძებლათ ისე ძლიერ შეარხია, რომ ჭია მაია იქვე მოჩუხჩუხე ნაკადულში, როგორც მტვერი ისე გადაისროლა. და იმ პაწიას სიხარული, ბედნიერება და მისივე ტანჯვა ნაკადულს ცივ და ცელქ ტალღებს სადღაც, შორს გაატანა.

ცქვიტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაპიტანი იანვარი.

თავი I.

შუქურა.

კაპიტანმა ხელათ გაჭყიდა ზღვის კიბოები, რომლებიც ნავთ-საადგურში მოეტანა: მშვენიერათ იჭერდა. იმ დღეს კიბოებიც

საუცხოვო გამოდგა, ჩქარაც გაიყიდა. კაპიტანმა ამორეცხა თავისი წითელი ნავი და წასვლას ემზადებოდა კიდევაც, როცა უკანიდან მხიარული სასიამოვნო ხმა მოესმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კაპიტან იანვარს გაუმარჯოს! როგორ გიკითხო, მეგობარო? ამ სიტყვებით კაპიტანს მიუახლოვდა შუახნის, ჩასხმული ტანის კაცი, ყვითელ-ყვითელ ფოლაქებიან ლურჯ ტანსაცმელში გამოწყობილი. იმან მეგობრულათ ჩამორთვა ხელი მოხუც მეზღვაურს—დიდი ხანია ერთმანეთი არ გვინახავს, უთხრა ახალმოსულმა.—მეშინოდა—ავად არ იყოს მეთქი.

— მადლობა ღმერთს, ჯერჯერობით მშვიდობითა ვარ, მიუგო იმან ვისაც კაპიტან იანვარს—ეძახდენ. იმედია შენც კარგად ხარ, კაპიტანო ნაზრო?—ჰო, მადლობა ღმერთს, არა მიშავს რა! გმადლობ მოკითხვისათვის, უპასუხა კაპიტანმა ნაზრომ და ყოყოჩათ გაიმართა ლონიერი ტანით—რატომ ვერსად შეგხვდი, ჩემო მოხუცო! განაგრძო ნაზრომ. შენ მშვენიერ გოგონას კი ყოველთვის ვხედავ ხოლმე თქვენს ნაპირზე, როდესაც ჩემი გემით ავივლი, იმას არ გამოეპარება გემის გავლა, როგორც კი გავუსწორდები თქვენ კუნძულს და დურბინდით თქვენკენ გავიხედავ ჩემი პატარა ნაცნობი მიქნევს კიდეც თავის თეთრ წინსაფარს.

— ჩემი შუქურასთანა ბავში მეორეც არ მოიძებნება მთელ დედამიწის ზურგზე, აღტაცებით შენიშნა კაპიტან იანვარმა. რა გონიერი ბავშია, რა კეთილი! სწორეთ დიდი საუნჯე მომანიჭა ღმერთმა, ჩემო კეთილო მეგობარო, დაუმატა კაპიტანმა.

— მართლაც რომ მშვენიერი ბავშია, დაეთანხმა კაპიტანი ნაზრო, დროა იმის სკოლაში მიცემა იფიქრო! მე და ჩემი ცოლი სწორეთ აგერ ახლა ვლაპარაკობდით იმის თაობაზე. ერთი რომ ბავშისთვის აუცილებელია ბავშების, მისი ტოლების საზოგადოება. მეორე—ხომ უნდა ისწავლოს ბავშმა ის, რასაც სხვა ბავშები სწავლობენ! იცი რას გეტყვი? მოგვაბარე შენი ბავში სასწავლო თვეებში. ჩემი ცოლი ისე იზრუნებს შენ ბავშზე, როგორც თავის საკუთარ შვილზე. ჩემები და შენი გოგონა ერთად ივლიან სკოლაში. რას იტყვი ამაზე, მეგობარო? იანვარმა თავი გააქნია.

— სულით და გულით გმადლობ! ერთობ კეთილი ბრძანდებით შენა და შენი მეუღლე. ის ხომ აქამდინაც ბევრ სიკეთეს უშვრებოდა ჩემ გოგონას. საკუთარი ოჯახის საზრუნავი იმდენი აქვს და მაინც პოულობს დროს. რომ ჩემ ბავშს ტანთსაცმელი შეუკე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როს. დიდი კეთილი ადამიანია. მე ხომ ჩემ შუქურას ვერ მოვშორდები.—ამას გარდა მგონია თვითონ ბავშსაც სკოლის ყოფა-ცხოვრებ არ მოეწონება—ის ხომ თავისუფალი ჩიტია! რაც შეეხება სწავლას, ამისი შენ ნუ გეშინიან; ის სწავლობს კიდეც, კმაყოფილების ღიმილით უთხრა მოხუცმა. მშვენივრათაც სწავლობს! მგონია იმან სხვა თავის ტოლ ბავშებზე მეტიც იცის. ხშირათ გაოცებს ხოლმე იმისი ნიჭი!

— მაშ თვითონ ასწავლი ბავშს სასკოლო სახელმძღვანელოების საშვალებით? დაეკითხა კაპიტანი ნაზრო.

— არა, ჩემო მეგობარო!. სახელმძღვანელოებისა რა მოგახსენო; არავითარი სასკოლო სახელმძღვანელო ჩვენ არა გვაქვს. ჩვენ ვკითხულობთ „დაბადებას„ ზყაპრის წიგნებს, საუცხოვო წიგნებია.

— სწორე გითხრა, ასეთი წიგნების მე არასოდეს არაფერი გამიგონია, შენიშნა კაპიტანმა ნაზრომ.—მერე ვის გაუგონია სწავლის ამ ნაირად დაწყება?

— ერთი სერიოზული წიგნი კიდევ მაქვს: ენციკლობედიური ლექსიკონი, დაუმატა იანვარმა. მაგრამ ბავშს ეს წიგნი ჯერ არ უყვარს: ბევრი მძიმე-მძიმე სიტყვებია შიგ... ამის თქმაზე იანვარი მარდათ ჩახტა ნავში, ხერხიანათ მოუსვა ნიჩაბს და ნელნელა გაშორდა ნაპირს. მისი მეგობარი კი პირდაღებული გასცქეროდა მიმავალ მოხუცს.—მშვიდობით, ნაზრო, კარგათ ყოფილიყოთ, გამოსძახა მიმავალმა მოხუცმა,—ძალიან მიმეჩქარება, შეშინიან ბავშს არა მოუვიდესრა. ერთხელ კიდევ გწირავ მადლობას შენი გულკეთილობისათვის! მაგრამ ვერ მივიღებ კი შენ წინადადებას. კაპიტანი ნაზრო დიდ ხანს გასცქეროდა მიმავალ ნავს.—იანვარი რომ გაგიჟებულა, ეს ცხადია, წაიბუტბუტა მან ბოლოს.—კაი კაცია, საწყალი, ერთ დროს კანდელის ჩინებულ ზედამხედველიც იყო, წინად კიდევ შესანიშნავი მეზღვაური! ახლა კი გლახათ არევია ტვინი საბრალოს!

იმ ადგილების ახლოს, ატლანტიის ოკეანებზე, შტატი მენის პირდაპირ ერთი პატარა კლდოვანი კუნძულია. როცა ამ კუნძულს უცქერით, გეგონებათ ბუნებას გადმოუყრია ქვებისა და კლდეების ნახეთქები, იმ დიდრონ კუნძულებს რომ გადარჩენია და ამ ადგილებში რომ გაფანტულა აგერ—ეგერ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ კუნძულის ერთ მხარეს პაწაწა სწორ ნაპირიანი ბოლაზია. ვეოცხლის ფერი წვრილი ქვიშა მოჰფენია პატარა მწვანე მინდორს, რომელზედაც ობლათ სდგას ერთად ერთი პაწაწა ნაძვის ხე. მეორე მხრით კუნძულს ოკეანეს ტალღებისაგან კლდის დიდი კედელი იფარავს. სულ ზემოთ ამართულია თეთრი კანდელი, ბრილიანტივით ბრჭყვიალა სანათურებით. ამ პატარა კუნძულს „ციცინათელას“ უძახიან. სწორედ ამ კუნძულისაკენ მიეშურებოდა კაპიტანი იანვარი. მანძილი დიდი ჰქონდა გასავლელი. თუმცა ბებერი მეზღვაური ძალიან მარდათ უსობდა ნიჩაბს, მაგრამ შებინდების ჩრდილი აგერ—ეგერ მაინც მოჩანდა, როცა წითელი ნავი კუნძულის ნაპირს მიადგა იანვარი მსუბუქათ მიაქანებდენ ნავს, ხელი სრულიათაც არ ეღლებოდა. მაგიერში წელის გამართვა უჭირდა ხოლმე ხანგრძლივი ჯდომის შემდეგ. მშრალსა და თეთრ ქვიშაზე რომ გამოვიდა, ოდნავ ამოიოხრა. ნავი ნაპირზე გამოათრია და უკან მიიხედა. უნდოდა დაეძახნა, მაგრამ



თავი შეიკავა. „ბავში იქნება სახლშია, დღეს ძალიან დავიგვიანე“ გაიფიქრა მან. სიბერე დამეტყო, სადღაა ვაჟკაცობის ძალ-ღონე! ისიც სათქმელია: ორმოცი წლისა როდიღა ვარ—მეოთხმოცა წელს ვასრულებ!“ მოხუცმა ნავი ნაპირზე გამაგრებულ პალოს ჯაჭვით მიაბა. ნავიდან ნაყიდი რამე-რუმეების ხვეულები ამოიღო და კანდელისაკენ გაემართა. მშვენიერი სანახავი იყო დიდრონ ქვების ნახეთქებ შუა მიმავალი ახოვანი, ჯერ კიდევ საკმაოთ მხნე მოხუცი. იმისი სქელი თმა და წვერი ზღვის ქაფივით

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეთრათ მოსჩანდა. მზისა და ქარისაგან დამწვარი ღაჟღაჟი სახე ურთხელის წითელ ფერს მოგაგონებდათ. სახის სიმკაცრეს არბილებდა და ახალისებდა გამჭრიახი ლურჯი თვალები, რომლებიც ისე მხნეთ გამოიცქირებოდენ სქელი წარბების ქვეშიდან, თითქოს არც კი იცის რამე იმ ოთხი ოცეული წლისა, რომლის წყალობითაც მოხუცი მეზღვაურის ბეჭები მოხრილიყო კიდეც.

იანვარს სქელი მაუდის მოკლე საზღვაო ტანსაცმელი და მაღალყელიანი ჩექმები ეცვა, მისი. თავის მეტად ახირებული მოროულობა კი ჩვეულებრივ ქუდს სრულებით არ შეჰფეროდა, უფრო ძველი დროის თავსახვევს მოგაგონებდათ.

მოხუცმა ქვის საფეხურები აიარა და კარს მიადგა. კარი შედიოდა ოთახში, რომელიც ერთსა და იმავე დროს სასტუმროც იყო, სასადილოც, საძინებელიც და სამზარეულოც იმ შენობისა, რომელსაც მეზღვაურებმა „ქარიშხალის კოშკი“ უწოდეს ნამდვილ კი ეს ჩვეულებრივი კანდელი იყო. ოთახში მხიარულათ წიწკინობდა და ძრიელ ოთახს ანათებდა დიდ ღუმელში დანთებული ცეცხლი, სუფრა სავახშმოთ იყო გაშლილი. პატარა ქვაბი მხიარულათ შიშინებდა ცეცხლზე. ოთახში შეჭამადის გემრიელი და სასიამოვნო სუნი ტრიალებდა. მოხუცმა მიიხედ-მოიხედა— ოთახი ცალიერი იყო. ცოტა არ იყოს სახეზე, შეშფოთება დაეტყო. სწრაფათ მიუახლოვდა ქვის წვრილ კიბეს, რომელიც ზევით ადიოდა და დაიძახა:

— შუქურა! სადა ხარ, ჩემო ვარსკვლავო?

— აქა ვარ, ჩემო ბაბუნი, ჩამოსძახა ზევიდან ბავშის წკრიალა ხმამ. — მოვდივარ, ახლავე ჩამოვალ, ბაბუნი! ცოტა დამაცალე, სულ ცოტა!

მოხუცი დამშვიდდა, ჩაჯდა მაღალ ზურგიან დიდ სავარძელში და ჩექმების გახდას შეუდგა.

ერთი ჩექმა გაიხადა; ის იყო მეორეს იხდიდა, როცა კიბიდან რაღაც შრიალი მოესმა. თვალი მაშინვე იქით მიაპყრო. მოხუცის სახეს დიდი გაკვირვება დაეტყო; გაშეშებული შეაჩერდა კიბეს, ჩექმა ხელიდან გავარდა. კიბეზე წყნარად და მედიდურად ჩამოდიოდა საოცარი სილამაზის გოგონა. საფეხურები დიდები იყო და ბავშს ჩამოსვლა, უჭირდა. შეხედულებით გოგონა ათი—თერთმეტი წლისა იქნებოდა. მშვენიერი ოქროს ფერი თმა სქლათ ჩამოშვებოდა ლამაზ შუბლზე, დიდრონი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლურჯი თვალები ვარსკვლავივით ანათებდა და სწორეთ შუქურას მოგაგონებდათ. გრძელი, შავი წამწამი ჩრდილავდა ვარდისფერ ლოყებს. ბავში ფრთხილათ ჩამოდიოდა, რადგანაც

გრძელი კაბის ნაკეცებში ფეხები ეხლართებოდა. მოხუცი გაღ-ცებული შესცქეროდა ამ კაბას. დილით, შინიდან რომ გავი-და, ბავშს ჩვეულებრივი ვარდისფერი ჩითის კაბა და თეთრი წინსაფარი ეცვა. ახლაკი იმის ნაზი ტანი ჩამალულიყო ძვირფას ხავერდის მძიმე კაბაში. ზედა წელიც მეტად დიდი იყო ბავში-სთვის, შუქურას ხერხიანათ აეკეცა და ზედ შემოერტყა ოქროს ფერი ლეჩაქი, რომელიც ლამაზათ მხრებზე გადაეგდო და მერე ფრთებივით უკან გადაეშვა. კაბის გრძელი კუდი ფარშა-ვანგის ბოლოსავით გადაშლილიყო ფეხებთან. ამაზე საუცხოვო სანახავს ვერაფერს წარმოიდგენდა კაცი უდაბურ კუნძულზე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხუცი მეკანდელეს ღარიბ ოთახში. ამიტომაც იყო რომ მოხუცმა თვალი ველარ მოაშორა საუცხოვო სანახავს.

— თითქოს ზღაპრული დედოფალი იყოს, ნელა ჩაილაპარაკა ბებუამ. ბავში დინჯათ მიუახლოვდა ბებუას, მედიდურათ დაუკრა თავი და უთხრა: ესეც მე, ჩემო ბებუნ! როგორ მოგწონს ჩემი მორთულობა?

— საუცხოვო მორთულობაა, შვილიკო! მითხარი, შენი ჭირიმე, როგორ მოახერხე, რომ ვარდისფერი ძველი კაბითა და თეთრი წინსაფარით მორთული გოგონა ძვირფას ხავერდებში და ოქრომკედში გამოწყობილ დედოფლათ გადაქცეულხარ!

— ბებუნ! მითხარი, გინახავს შენ როდისმე ნამდვილი, კოცხალი დედოფალი?

— არ ვიცი რა გიპასუხო, ჩემო პაწიავ, მიუგო მოხუცმა და თამბაქოს ბოლის რგოლები მაღლა აუშვა.

— ერთხელ აფრიკის ნაპირზე ვნახე დედოფალი, მაგრამ იმის მორთულობა შენსას როდი გავდა. იმას სულ სხვა ნაირად ეცვა: მოკლე კაბა, ხელზე სამაჯურები, ცხვირში ოქროს დიდი რგოლი ჰქონდა გაცმული — მთელი მისი მორთულობა ეს იყო!

— დანარჩენი ტანთ საცმელი სადღა ჰქონდა, ბებუ? რათ გავიდა ნაპირას ტანთ ჩაუცმელი?

— ალბათ ჩქარობდა, ჩემო კარგო. ველარ მოასწრო ყველაფრის ჩაცმა, მიუგო ბებუამ და ეშმაკურათ ჩაიცინა. — მე მისი ენა არ ვიცოდი და ვერც რამე ვუთხარი.

— იცი რას გეტყვი, ჩემო გვრიტო? ის შენ სრულიადაც არა გგავდა! იმას შავი, თითქოს გაქონილი კანი ჰქონდა, ასე გეგონებოდა მელანში ამოუბანია მთელი ტანი.

— რას ამბობ, ბებუ, ეს რა დედოფალია? მე მინდა ვიცოდე ისეთი დედოფალი თუ გინახავს, ზღაპრებში როგორაა აწერილი, აი „მძინარი მზეთ უნახავი" რომ წავიკითხეთ, ბებუნ! ხომ არიან ქვეყანაზე ასეთი დედოფლები? ისინი მუდამ ოქრომკედის კაბებში არიან გამოწყობილი — ხომა?

— არ ვიცი, ჩემო პაწიავ, შეიძლება არიან, მაგრამ არასოდეს არ შემხვედრიან. აი ამ საათში ჩემ წინ სწორედ ასეთ დედოფალს ვხედავ და ძალიანაც მინდა ეს ჩემი საცოდავი ოთახი უეცრად „მძინარ მზეთ უნახავის" მშვენიერ კოშკათ გადაიქცეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ნუ ამბობ მაგას, ბაბუა? დაუყვირა ბავშმა და მოხუცს მრისხანეთ შეანათა თვალები. —მე მიყვარს ჩვენი სახლი, ძალიან მიყვარს და სრულიად საცოდავი არაა ის! ჩვენი სახლი შშვენიერია! არ მინდა კოშკი. მუდამ აქ ვიქნები, ჩემ საყვარელ სახლში! ბავშმა ხელები გულზე დაიკრიფა და მკაცრად შეხედა ბაბუას. ის კი სიამოვნებით იღიმებოდა პატარა შუქურას სიანჩხლეზე. მაგრამ ქარიშხალი ისეთივე სისწრაფით გაჰქრა, როგორც ამოვარდა. შუქურა მაგრად ჩაეკრა გულში თავის ბაბუას და კოცნა დაუწყო მერე მუხლზე დაუჯდა და ბაასი გაუბა.

— ახლა ზღაპარი მიამბე, ჩემო ბაბუნი. შეეხვეწა ბავში და ხელახლა ჩაჰკოცნა.

— ზღაპარი გიამბო? მერე ვახშმობამდის რადროს ზღაპარია? ამ სიტყვებზე მოხუცმა, ღუმელს შეხედა, გემრიელი საჭმლის სუნი რომ მოდიოდა.

— საბრალო ბაბუა! შესძახა ბავშმა და ხელახლა კოცნა დაუწყო. —რა სულელი ვარ! ვახშამი სულ დამავიწყდა! დღეს შენი საყვარელი საჭამადი გვაქვს—ტომატიანი საჭამადი. მაგრამ როგორ უნდა მოვიტანო სადილი ამ კაბით? ნუ თუ უნდა გავიხადო ნაღვლიანათ დაუმატა ბავშმა.

— ნუ გაიხდი, ჩემო პაწაწა ბარტყო, უთხრა მოხუცმა და სავარძლიდან წამოდგა. ჩაჯექ აქ და დღეს ჩემი ძვირფასი დედოფალი იყავი—მარტო დღეს. მე კი გემსახურები, ვახშამს მოგართმევ.. შუქურას ძალიან მოეწონა ეს აზრი. მედიდურათ ჩაჯდა მოხუცის სავარძელში, ხერხიანათ გაისწორა ძვირფასი კაბის კუდი და შუბლზე გადმოშვებული ოქროს ფერი თმები უკან გადაიყარა. ბაბუამ სუფრაზე ვახშამი მოიტანა ძ დიდის მოკრძალებით მიართვა კერძი დედოფალს. ისიც ხერხიანათ თამაშობდა თავის როლს, ეშმაკურის ღიმილით მედიდურათ გამოიცქირებოდა. დედოფალი ოდნავ ახლებდა ხელს თავის კერძს და შესდგებოდა—ვითომ ძ ძალიან განებივრებული არსება იყო. მოხდენილათ მოიღერებდა ყელს და ოდნავი თავის დაქნევით მადლობას უხდიდა ერთგულ მსახურს. მაგრამ ეს თამაშიც მალე მოსწყინდა ცოცხალ გოგონას. როდესაც ბაბუამ ასეთი სიტყვებით მიმართა: კიდევ არაფერს გვიბრძანებთ, ბრწყინვალე დედოფალო, ის სწრაფათ წამოიჭრა. გადაეშვა სუფრიდან, ბაბუას კისერზე ხელები მოხვია და ატი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტინდა: სრულიადაც არა ვარ ბრწყინვალე დედოფალი, შენი შუქურა ვარ, შენი ვარსკვლავი, შენი პაწია წიწილა, პაწია ბარტყი; ავირბენ მაღლა, ჩავიცვამ ჩემ ძველ კაბას, ჩამოვბრუნდები და ნამდვილათ ვივახშმებ—ჩვენებურად! ამ სიტყვებით მან მძიმე ხავერდის კაბის კალთები აიკრიფა და ზევით გაემართა.

— ნიმდვილი გრიგალია, მხიარულის ღიმილით მისძახა ბაბუამ.

შუქურა მალე დაბრუნდა თავის ჩვეულებრივი მორთულობით. ბაბუა და შვილის შვილი ჩვეულებრივათ შეექცენ ვახშამს. როცა შუქურამ ყველაფერი აალაგა და დაასუფთავა, ბაბუა შეეკითხა: რას აკეთებდი დღეს, ჩემო პაწაწა კნუტო? უამბე ბაბუას, როგორ გაატარე დღევანდელი დღე? შუქურამ თავი გვერდზე გადახარა, ერთი თითი ბაბუას კურტკის საღილეში გაუყარა და ჩაფიქრდა.

— დღეს ძალიან მხიარულად გავატარე დრო, ჩემო ბაბუ. დაიწყო ბავშმა.—ჯერ ზევით ავედი, დავასუფთავე და გავმართე ლამპები. მერე დავაპურე ქათმები, მერე ავიყვანე ჩემი ნაიადა (ასე უძახდა ის თავის დედოფალას, რომელიც ბაბუამ ხისგან გაუკეთა) და ნავთ-საყუდარზე წავედი. იქ ნაიადას ლოკოკინებისა და კენჭების მშვენიერი, ლამაზი სახლი ავაგე. იცი, ბაბუ, მშვენიერი ლოკოკინა ვიპოვე იქ. შიგნიდან ძალიან ლამაზი, ვარდისფერი მინანქარი აქვს გამოკრული. ეს ლოკოკინა ნაიადას ფინჯანი იქნება, შიგ ჩაის მივართმევ—ხომ კარგი იქნება, ბაბუ? ბაბუამ სიყვარულით გადაუსო ხელი ოქროს ფერ თმაზე.

— რა თქმა უნდა კარგი იქნება, ჩემო გვრიტო. ლოკოკინები ხომ მშვენიერებია და ბევრად ულამაზესიცაა ადამიანის ხელით ნაკეთებ წიგნებზე.—აბა კიდევ რა აკეთე, ჩემო გვრიტო?

— მინდოდა თევზები დამეჭირა ჩემ პატარა გუბეში, მაგრამ ვერ მოვახერხე: მოვკიდებდი თუ არა ხელს თევზი გასხლტებოდა და გასრიალდებოდა. ერთი ბებერი თევზი დავიჭირე, მაგრამ ისე შეშინებული გამოიცქირებოდა, რომ შემებრალა და ისევ ზღვაში გავუშვი- მერე ვიჯექი დერეფანში და ვფიქრობდი, დიდხანს, სულ დიდხანს ვფიქრობდი... მოულოდნელად მომაგონდა სკივრი, ჩემი ლოგინის თავით რომ მიდგას

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთახში. ისიც მომაგონდა, რომ ერთხელ მელაპარაკე კიდეც ამ სკივრზე. „დიდი რომ გაიზრდები, ეს სკივრი და რაც შიგ აწყვია, ყველაფერი შენი იქნებაო“ მითხარი. აი, წავედი ზევით, დავეზომე კარებს, დავინიშნე რა სიმაღლისაც ვიყავი, და გადავწყვიტე:

— დროა სკივრიდან წიგნები ამოვიღო მეთქი! ნიშანს რო დავხედე, მეგონა შენი სიმაღლე ვიყავი, ბაბუ! ალბათ დამავიწყდა, რა სიმაღლისა ხარ... გავაღე სკივრი და დავიწყე დედას კაბის ჩაცმა. სწორეთ ამ დროს შენც დაბრუნდი.

ბაბუა ძალიან სერიოზულათ უგდებდა ყურს ბავშის ნაამბობს, თან თეთრ წვერებს ისწორებდა.

— ბაბუნი! დედა ხომ იცვამდა იმ კაბას? ის მგავდა? მითხარი, ჩემო ბაბუ!

— იცი რა... დაიწყო ბაბუამ, მაგრამ ბავშმა გააწყვეტინა.

— ეჰ, რა სისულელეს ვამბობ!.. სთქვა ბავშმა. დედა ხომ როგორც ნახე, მაშინვე მოკვდა. ხომ მოკვდა, ბაბუნი? ნამდვილად იცი, ბაბუ, რომ დედა მართლა მოკვდა?

— ვიცი, შვილო, ისე ნამდვილად ვიცი, რომ მეტი სინამდვილე აღარც შეიძლება, ჩემო კარგო. ბავშმა თავი დააქნია, მაგრამ არავითარი ნაღველი არ დასტყობია. ის დაეყრდნო ბაბუას მკლავს, მოხვია კისერზე და ნაზის ხმით სთხოვა:

— ძალიან მინდა, ჩემო ბაბუ, კიდევ მიამბე როგორ მიპოვე. დიდი ხანია აღარაფერი გიამბნია ჩემსა და დედას შესახებ. მომიყევი, ჩემო ბაბუნი!

— ჯერ ერთი თვეც არ არის, რაც ეს ამბავი გიამბე. რამდენჯერ მიამბნია! ჩემზედ კარგად იცი მთელი ეს ამბავი, ჩემო კარგო, უთხრა მოხუცმა.

— არა, ჩემო ბაბუ, ძალიან მინდა, შენ თვითონ მიამბე, შენი ჭირიმე!

— კარგი, კარგი ჩემო პაწაწა ყვავილო, უთხრა მოხუცმა და რბილი თმები დაუკოცნა.

— მაგრამ ჯერ უნდა კანდელზე ლამპები ავანთო. აქ ხომ სინათლეში ვარ, ჩემი შუქურა ვარსკვლავი ჩინებულათ მინათებს ოთახს, იქ ვინც არის ზღვაზე, იმათ მეორე ვარსკვლავმა უნდა გაუნათოს, ზევით რომ ანათებს, ამ შენობის ზემოთ. ტყუილათ ხომ არ ეძახიან ჩვენ კუნძულს „ციცინათელას“?—ახლავე დავბრუნდები, ჩემო პაწაწავ!

თარგმანი **ნ. შ.**

(შემდეგი იქნება)

oooooooo

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი დედამიწა.

მაწ, რომელზედაც ჩვენ ვცხოვრობთ.

ე მსურს გესაუბროთ დედამიწაზე, რომელზედაც ჩვენ ვცხოვრობთ. მართლაც რომ ბევრი რამ საგულისხმო შეიძლება გიამბოთ იმაზე.

დავიწყოთ თუნდა იქიდან, რომ დედამიწაზე არის ხმელეთი, რომელზედაც აშენებულია ადამიანის საცხოვრებელი სახლები, იზრდება ტყეები, მუშავდება ყანები და საძოვრებზე აუარებელი ჯოგი სძოვს. გარდა ხმელეთისა დედამიწაზე არის წყალი, რომელიც ავსებს ტბებსა და ზღვებს, მიმდინარეობს ნაკადულებათ და მდინარეებათ.



ტბიდან მდინარე გამოდის.

გარდა ხმელეთისა და წყლისა ჩვენს დედამიწაზე არის ჰაერი, რომელიც ჩვენთვის უხილავია, მაგრამ ყოველი მხრიდან გარს გვახვევია. განსაკუთრებით მაშინა ვგრძნობთ ჰაერს, როცა გავრბივართ და ის ჩვენ სახეში გვცემს. ჰაერს მაშინაც ადვილათ ვამჩნევთ, როცა ქალალდის ნაგლეჯს ავუშვებთ ზევით. ჰაერი რომ არ იჭერდეს მას, ის იმ წამსვე მიწაზე დაეშვება. არც უხმელეთოთ, არც უწყლოთ, არც უჰაეროთ ადამიანს ცხოვრება არ შეუძლია. დედამიწაზე ბევრი, ბევრი ცხოველები და მცენარეები სცხოვრობს. ზოგი ცხოველი მცენარეულობით საზრდოობს, ზოგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიდევ სხვა და სხვა ცხოველების ხორცით იკვებება. ადამიანი კი საზრდოობს როგორც ხორცით, ისე მცენარეულობითაც. ტანისამოსს, ავეჯეულს, შენობებს იგივე ცხოველები და მცენარეები იძლევიან.

წყალი ყოველივე სულიერს და მცენარეს სჭირია, უწყლოთ ისინი აუცილებლათ დაიღუპებიან. აუარებელი ცხოველი და მცენარე მთელ თავის სიცოცხლეს წყალში ატარებს. (მაგალითად, რომელი?)

წყლის ზედაპირი სწორია, ხმელეთზე გორაკები, მთები და მინდვრებია. გორებ შუა ხევებში ხშირად მდინარეები მიიკლაკნება ან ტბები გუბდება.

აქ დახატულია მთა-გორაკები, ველმინდვრები, მდინარე-ტბები და სხვა...

არც უჰაეროთ შეუძლიათ ცხოვრება ცხოველებს და მცენარეებს.

ხმელეთი და წყალი სრულებით არ გვანან ერთმანეთს, ხმელეთზე ჩვენ დავდივართ. ღრმა წყალზე გავლა რომ მოვინდომოთ, ჩავიძირებით. წყლის ზედაპირი სრულებით სწორია. მიწის ზედაპირი კი უსწორ-მასწორია. ხმელეთზე ზოგიერთი მთები ისე აზიდულა ჰაერში, რომ ზედ ამსვლელს დიდი თავგანწირულება და გაბედულება მართებს.

ხმელეთზე აურაცხელი მდინარეები, რუები, ნაკადულები მიექანება. პატარა ორმოებში და ოღრო-ჩოღროებში წყალი გუბდება. ამგვარად ჩნდება პაწია გუბეები. ჩაღრმავებულ ად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გილებში ჩნდება ტბები. თვალუწვდენელ სიღრმეებს კი ავსებენ ზღვები და ოკეანები. გუბე შესაძლებელია ისეთი პატარა-იყოს, რომ ადამიანმა მას თავისუფლათ გადააბიჯოს; სულ სხვაა დიდი ტბა; იქ ხშირად ერთი ნაპირიდან მეორეს ვერც კი დაინახავ. ოკეანებზე და ზღვებზე საჭიროა ხომალდებით რამდენიმე დღის, კვირის და თვის სიარულიც კი, რომ მეორე ნაპირს მიაღწიო.

მთელ დედამიწის ზურგზე ფუსფუსებენ და შრომობენ ადამიანები: ზოგი ხვნა-თესვას მისდევს, ზოგი ფაბრიკებსა, ქარხნებსა. და სხვა და სხვა სახელოსნოებში მუშაობს, ზოგიც ხეტყის დამუშავებას აწარმოებს, ზოგს მადნეულის მაღაროებში მიწის სიღრმიდან რკინა და ოქრო-ვერცხლი ამოაქვს. ოკეანესა, ზღვასა, ტბებსა და მდინარეებში ადამიანები იჭერენ თევზს, დასცურავენ ერთი ნაპირიდან მეორეზე და სხვა და სხვა საქონელს ეზიდებიან ქვეყნიერების ერთი კუთხიდან მეორეში.

ალაგ-ალაგ დედამიწის ზურგზე უზარმაზარი ქალაქებია, უთვალავ ადამიანებით სავსე. ქალაქებში ხალხი ჭიანჭველასავით შრომობს და ირევა.

დაუკვირდით ყოველივეს, რაც ჩვენ გარშემო ხდება: უყურეთ, როგორ იზრდება მცენარე და ცხოველი როგორ ცხოვრობს ადამიანი, რისაგან რას აკეთებს ის.

კითხვები, დაკვირვებანი და საცდელი სამუშაო:

არის თუ არა თქვენს მახლობლათ მდინარე? ტბა? ნაკადული?
გინახავთ თუ არა მთები და გორაკები?
რა და რა ცხოველი და მცენარე იცით?
გინახავთ თუ არა ზღვა?
დახატეთ ზღვის ნაპირი, ან მდინარე ტყეში, ან რაიმე ადგილი, ან რაიმე სანახაობა.

ზ ე ა დ ა გ ი.

დიდი ხანია წვიმა აღარ მოსულა. გამოიფიტა, გახმა და ამტვერდა მიწა. მიქროლებს ქარი, აიტაცებს მტვერს და სვეტივით დაატრიალებს ფართო გზაზე. შხაპუნა წვიმა მტვერს ტალახათ აქცევს. ტალახი სიარულის დროს უსიამოვნოთ გვეკვრის ფეხებზე. სუფთა იატაკზედაც კვალსა სტოვებს. ხელი და ტანსამოსიც გვესვრება ტალახით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ წვიმა ხშირად მოდის, ტალახი თავს მეტისმეტათ გვაბეზრებს. მაგრამ, წარმოიდგინეთ, რა იქნებოდა წვიმა რომ არ მოდიოდეს? არც ხავერდივით მობიბინე ველები, არც ყვავილებით ნაქარგი, ხალისიანი მინდვრები აღარ იქნებოდა.

იქნებ იცოდეთ რა ეწოდება იმ ტალახს, იმ მტვერს, მთელ იმ ზედაპირს მიწისას, ბალახი და ყვავილი რომ თავის ფესვებს იმაგრებს? იქნებ გაგიგონიათ სიტყვა „ზეადაგი.“. ხშირად იტყვიან—მცენარე მწირ ზეადაგზე არ იხეირებსო. ყოველ მცენარეს კარგი ზეადაგი ეჭირვებაო.

ვნახოთ რა შემადგენლობისაა ეს ზეადაგი.

ჩაირბინეთ ბაღში ან ეზოში და ერთი მუჭა მიწა ამოიტანეთ. გააფხვიერეთ მიწა ხელში. მიწა დარბილდება, დაიფხვნება, მტვრათ იქცევა. აქა იქ მაგარი ნამცეცები შეგხვდებათ ხელში. ბალახების ღეროები, ნახევრათ დამპალი ფოთლები.

ჩავყაროთ ეს დაფხვნილი მიწა ტაშტში, დავასხათ წყალი და ღონივრათ შევანჯღრიოთ. წყალი აიმღვრევა. ჩაყავით ხელი წყალში, ტალახივით სქელი რაღაც მოგხვდებათ ხელში ტაშტის ფსკერზე.

ფრთხილათ გადასწრიტეთ ეს წყალი მეორე ტაშტში. პირველ ტაშტში კი ხელახლა წყალი ჩაასხით და დაანძრიეთ. ისევ გადასწრიტეთ წყალი.

ასე მოიქეცით რამოდენჯერმე. ბოლოს შეამჩნევთ რომ პირველი ტაშტის წყალი აღარ აიმღვრევა, თუგინდ მძლავრათაც დაანძრიოთ.

ამ ტაშტის ფსკერზე ახლა სილის ძალიან თხელი და სუფთა ფენა დარჩება; ისეთი, როგორსაც მდინარის პირზე ვამჩნევთ ხოლმე.

ახლა ყურადღებით დავაკვერდეთ იმ ტაშტს, რომელშიაც მღვრიე წყალი გადავწრიტეთ. მანამ პირველ ტაშტს ვაკვირდებოდით, მეორე ტაშტის წყალი დაილეკა, ისეთი მღვრიე აღარ გვეჩვენება. მიწის ის პაწაწა ნამცეცები, წყალს რომ ამღვრევდნენ, ტაშტის ძირში დაიწრიტა. ხელის შეხებაზე ვგრძნობთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ეს დანალეკი ტალახი რბილი და ლიპია. მას სრულებით ალარ ურევია მაგარი სილა. ეს რბილი ტალახი თიხაა.

მოუურია თავი.

ეზოშა დიდი გუბე იდგა. დვარს შიგ ეოვეიდგვარი ნაგავი ჩაეტანა. გუბის ფსკერზე ჯერ ქვები დაიდვა, შემდეგ ხიდა და შემდეგ თიხა. დაბოლოოდ მოწის ზედა პირზე ძვლებს ნაფოტებს და ეოვიდგვარს ნაგავს

დააკვირდით, დალეკილ თიხის გარდა არის თუ არა ახლა ამ ტაშტში რამე? უეჭველია შეამჩნევთ, რომ არის: წყლის ზედაპირზე დასცურავს ბალახის ღეროები და ხის ფოთლები, რომლებიც ხელის შეხებისთანვე ნამცეცდებიან, იშლებიან: ისინი წყალში დარბილებულან, დამპალან.

ამგვარათ, ჩვენ ვხედავთ რომ ზეადაგში არის: სილა, თიხა და სხვა და სხვა დამპალი ნაწილები მცენარეებისა.

ზეადაგს ზოგიერთ ადგილას მეტი სილა ურევია. ზოგან-თიხა სჭარბობს, სილა კი ნაკლებია. ზოგან კიდევ მეტია დამპალი მცენარეულობა.

კითხვები, დაკვირვებანი და საცდელი სამუშაო:

რა ზეადაგია იქ, საცა თქვენ ცხოვრობთ? გეწებებათ ფეხებზე ავდარში? წვიმის შემდეგ ზეადაგი სწრაფათ შრება, თუ მიწა წყლით იჟღინთება?

ეგებ იცოდეთ რა გვარ ზეადაგს ეწოდება მწირი ანუ უნაყოფო? კარგი-ანუ ნაყოფიერი?

რა გვარი ზეადაგი იგლისება, როცა დასველდება?

დაასხით წყალი სილას და თიხას. ნახეთ, რომელი უფრო ადრე გაიჟღინთება წყლით-თიხა თუ სილა?

თქვენ ბაღში როგორი მიწაა, მუქი თუ ღია ფერისა? გზაზე, ბოსტანში? სცადეთ და გამოარკვიეთ: რომელ ზეადაგში მეტია სილა ან თიხა, რომელში სჭარბობს მცენარეების დამპალი ნაწილები?

აიღეთ სველი თიხის გუნდა, სცადეთ მისგან რისიმე შეძერწვა. აიღეთ სილა, სცადეთ იმისაგან რისიმე შეძერწვა.

ნახეთ რა მოუვა შეძერწულ საგნებს როცა თიხა და სილა გაშრება.

ხომ არ იცით რა მოსახმარია სილა?

რას აკეთებენ თიხისაგან?

(გადმოკეთებული) **ელ. ჭიჭინაძე.**

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოკაკოკი შინ გრუნდეგა.

ოკაკოკი იყო ესკიმოსი. ესკიმოსურ ენაზე ოკაკოკი ნიშნავს, პატარა პრინცს.

ის ცხოვრობდა, შორს, ძალიან შორს, თავის საყვარელ, გრენლანდიას მოშორებული.

აგერ ორი წელია, რაც ის მოაშორეს თავის სამშობლოს და წამოიყვანეს უცხო ქვეყანაში. პატარა ესკიმოსს ეს დრო მთელ საუკუნოებათ გადაექცა და დარწმუნებულიც იყო იმაში, რომ, თუ იმას სამუდამოთ მოუხდებოდა უცხოელებში ცხოვრება, სამუდამოთ მოაშორებდენ თავის ყინულის კერას, რომელიც ჩდილოეთით დისკოს ნაპირას ეგულებოდა, მალე ჯავრით მოკვდებოდა.

თავის სამშობლოს მოცილება იმან მაშინვე იგრძნო, როცა ის ნიუიორკში მიიყვანა ვილაც მაღალმა კეთილმა კაცმა, რომელსაც მეზღვაურები გემის უფროსს ეძახდენ. ოკაკოკმა იმას თეთრი დათვი დაარქვა, თუმცა ეს კაცი თეთრ დათვზე უფრო კეთილი იყო. პატარა ესკიმოს თეთრ დათვზე უფრო ძლიერი მტერი არავინა ჰყავდა. მთელი ამბები წინაპრების მონაყოლი სულ თეთრი დათვის სიძლიერეზე იყო დამყარებული.

იმის შემდეგ რაც პატარა ესკიმოსმა დაისწავლა ქალაქის გზა ნიუიორკში, მთელი საათობით რჩებოდა დიდ ბაღში, სადაც სიამოვნებით უცქეროდა ორ თეთრ დათვს, რომელნიც ისხდენ მაგრათ გაკეთებულ გალიაში. ამ ვეებერთელა თეთრ ქვეყანაში, მხოლოთ ეს ორი ცხოველი იყო მისი ახლო ნაცნობი, მხოლოთ ამ ორი ცხოველის ხილვა ჰგვრიდა სიამოვნებას, არა ერთხელ მობჯენია დიდი ლუკმა ვით ყელში ცხელი ცრემლები, როცა ის გაფაციცებით ათვალიერებდა ამ მოუხეშავ ცხოველებს. ოკაკოკიც სიამოვნებით დაიწყებდა იმათთან ცხოვრებას, ეს რომ შესაძლებელი ყოფილიყო. იმას ძლიერ ეცოდებოდა ტყვე დათვები, ყინულის მთებს მოშორებულნი; განა თითონ არ განიცდიდა თავისუფლების დაკარგვას?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყმაწვილი კარგა ხანია ემუდარებოდა გემის უფროს სამშობლოში დამაბრუნეო. თხოვნა აუსრულა, დადგა თუ არა გაზაფხული, გემის უფროსი უაიტი შეუდგა მზადებას მოგზაურობისთვის იმ ყინულის ქვეყანაში, სადაც პატარა ესკიმოსი ასე ძლიერ ნატრობდა გადაფრენას.

გემის უფროსი ხშირად მოგზაურობდა გრენლანდიაში, უკანასკნელ მოგზაურობის დროს, გაიცნო ოკაკოკი, და წამოიყვანა ნიუიორკში, უნდოდა გაეგო თუ როგორ იმოქმედებდა განათლებული ქვეყანა პატარა ოკაკოკზე. გემის უფროსმა სიტყვა მისცა მის მშობლებს, ორი წლის შემდეგ ბავშს სამშობლოში დავაბრუნებ, თუ ის ამასობაში ახალ ცხოვრებას ვერ შეეჩვიაო. მთელი ნიუიორკის მცხოვრებლების ყურადღება მიიქცია ამ პატარა პრინცმა. უაიტი კი დიდი სიფრთხილით ადევნებდა თვალს ესკიმოსის ცხოვრებას, მხოლოთ თითონ ოკაკოკი კი მუდამ იმის ფიქრში იყო, როგორმე ჩქარა დაბრუნებულიყო თავის საყვარელ ყინულის კუნძულზე. ამის ფიქრში სულ ჩამოხმა, მის ცოცხალ თვალებს სხივი მოაკლდა, მაგრამ იმას საბედნიეროთ გემის უფროსმა გრენლადიისკენ გამგზავრება ახარა—ბავში სიხარულით ცას დაეწია, როცა ისინი გემთან მოვიდენ, საშინელი ხმაურობა და აურზაური იყო ბაქანზე, მგზავრები ჭინჭველებივით ირევოდენ, ოკაკოკი დაფრინავდა უფრთოთ. გემის უფროსის გასაცილებლათ ხალხი ბლომათ შეგროვილიყო თვითეული მათგანი სიამოვნებით ასაჩუჩრებდა ოკაკოკს სხვა და სხვა ნივთებით. ერთმა ექვსი ანკეხი აჩუქა თევზების დასაჭერი, მეორემ რამდენიმე სხვა და სხვა ფერი თაღლითის მძივები, მესამემ სანადირო დანა და თოფი, მეოთხემ კი ამოიღო ჯიბიდან მუჭით ახალი ვერცხლის ფული და მისცა, თუმცა პატარა ესკიმოსისთვის ფული არაფერს არ ნიშნავდა, მაგრამ ყველაზე უფრო მოეწონა გარდა დანისა და კიდევაც გადასწყვიტა ეს ვერცხლის ფული დედისთვის მიეტანა საჩუქრათ, რომელიც მორთულობათ გამოიყენებდა.

— რამდენჯერ ჩავა მზე, სანამ ჩვენ შინ მივიდოდეთ? —ჰკითხა კაპიტანს როცა ისინი ნაცნობებს დაემშვიდობენ.

— ცხრამეტჯერ—უპასუხა გემის უფროსმა.

გემზე ოკაკოკს საკუთარი სკამი ჰქონდა, რომელიც სამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზარეულოს კარებთან იდგა, საიდანაც შემწვარის სუნი გამოდიოდა და ჭამის მადას უორკეცებდა ისედაც ჭამის მოყვარულ ესკიმოსს.

როცა მარტოთ იგრძნო თავი, ჩამოიღო თავის თოფრა, სადაც სხვა და სხვა ლამაზი საჩუქრები ეგულებოდა, ამოალაგა და სინჯვა დაუწყო. სანადირო დანა, რამდენიმე თეთრი ცხვირსახოცი, რომელიც კაპიტნის ცოლმა აჩუქა, ბრჭყვიალა თაღლითები ყველა გადასინჯა. მერე გადათვალა ცხრამეტი წითელი თაღლითი და მარცხენა ჯიბეში ჩაიდო, იქიდან ერთი თაღლითი მეორე ჯიბეში გადაიტანა და სთქვა:

— ეს იქნება პირველი მზე.

დღეების დასათვლელათ ასეთი ადვილი მგონი მისთვის არაფერი არ იყო, მაგრამ ერთი დიდი შეცდომა დაუშვა, ის წითელი თაღლითი სწორეთ მაშინ ჩაიდო ჯიბეში, როგორც კი გემზე ავიდა და ეს დღე უკვე გასულათ ჩათვალა. წითელი თაღლითი უნდა ჩაედო ჯიბეში, სწორეთ მეორე დღეს დილაზე. ამ უბრალო შეცდომამ დიდი მწუხარება მიაყენა ბოლოს ჩვენ პრინცს.

როცა ღუზა ასწიეს და გემი დაიძრა ოკაკოკმა ერთი კიდევ გადაავლო თვალი ნიუ-იორკს. გემი გაეშურა ჩრდილოეთისკენ.

მაისის პირველი რიცხვები იყო, როცა გემი ესკიმოსების სოფელ სიორმერსუხში შევიდა, რომელიც დევის სრუტის გასავალში იყო გაშენებული. რამდენიმე მანძილზე ჩრდილოეთით ზღვის უბე დისკს, სადაც უნდა ჩამომხტარიყო ოკაკოკი. გემი კი თავის გზაზე უნდა წასულიყო ჩრდილოეთით. აქამდის გემმა კარგათ იმგზავრა, თუმცა ბევრი შრომა დასჭირდათ, რომ ყინულის მთებს არ დატაკებოდა, რომელნიც ოკეანეში თავისუფლათ დასცურავდენ. გემი სწორეთ იმ სიჩქარით გარბოდა, როგორც კაპიტანსა ჰქონდა გათვალისწინებული. ოკაკოკი ითვლიდა თავის მძივებს, გათენდებოდა თუ არა დილას ის ჩაიყოფდა ჯიბეში ხელს, სადაც ცხრამეტი თაღლითი ეწყო, ამოიღებდა ერთს და მეორე ჯიბეში ჩაიდებდა. ეს საიდუმლობა იმის მეტმა გემზე არავინ არ იცოდა. მეთექვსმეტე დღეს, როცა გემი დაიძრა სიორმერსიდან ოკაკოკმა გადითვალა მე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვიდმეტე მძივი მარცხენა ჯიბეში და დარჩა მეოთხეში ორი მძივი. მაშასადამე ის ორი დღის შემდეგ იქნება თავის საშობლო დისკოში, სადაც გადაეხვევა თავის შშობლებს. ეს სიხარული ისე ძლიერათ ჩაებეჭდა გულში, რომ კინალამ სიორმერსში ჩამოხტა და დანარჩენი გზის გავლას ფეხით აპირებდა. ძლიერ უნდოდა ყინულზე გავლა. ეს სურვილი იმის გულში თანდათან იზრდებოდა, რამდენათ ის უახლოვდებოდა თავის საშობლოს, იმდენათ ალარ აშორებდა თვალს ვეებერთელა ყინულის მთებს, რომელნიც ზარმაცულათ დიდ ოკეანეში დაცურავდენ.

გავიდა შემდეგი დღეც, კიდევ ერთი მძივიღა დარჩა ჯიბეში. ოკაკოკის სურვილიც აღსრულდა, უკანასკნელი თაღლითის მძივიც მიემატა სხვა მძივებს. ესკიმოსის გულში სიცოცხლის ნაპერწკლები გაუღვივდენ. სულ რამდენიმე საათი და ის გემიდან თავის საყვარელ დისკოს დაინახავდა. მოუთმენლობა სიხარულათ გადაექცა. ხბაკი ხელში ეჭირა, თოფი გვერდზე ჰქონდა გადაკიდებული და თვალებს შავი გიშრის მძივებივით ატრიალებდა.

კაპიტანმა შეამჩნია ოკაკოკის სულიერი ღელვა და ჰკითხა.

— რა ამბავია?

— დღეს — უთხრა ესკიმოსმა.

— რა არი დღეს? — ჰკითხა კაპიტანმა.

— დღეს იყო მეცხრამეტე მზე, მალე დავინახავ ჩემს ხალხს — უპასუხა იმან.

— არა, ხვალ! მიუგო კაპიტანმა უაიტმა და საჭიროთ ალარ სცნო მეტი განმარტება მიეცა.

ოკაკოკი გაჩუმდა. არ შეიძლებოდა განა, კაპიტანი შემცდარიყო და არა ის? რაღა უნდა ჰქნას ამან თუ ის ისევ თავის ქვეყანაში მიჰყავს კაპიტანს? თითონ ნამდვილათ დაითვალა ცხრამეტი თაღლითის მძივი, რაღა ქნას, გემი მალე მის საყვარელ დისკოს გასცილდება. ოკაკოკმა გადაწყვიტა გემიდან გაქცევა. სწორეთ მაშინ, როცა გემის კიბე ყინულზე დაუწყებს ხახუნს. ის ჩუმათ ჩაივლის კიბეს დი ყინულზე ჩახტება, მხოლოთ მოხერხებულ დროს უცდიდა.

ვახშამი მოიტანეს, ესკიმოსს ლუკმაც არ აუღია, ის სულ იშის ფიქრში იყო. გემიდან გაპარულიყო. როცა საგრძნობლათ დალამდა, ყური მოჰკრა, გემი ყინულს ეხახუნებოდა, იმან მაშინვე წამოავლო ხელი თოფრას და სიფრთხილით ჩაირბინა კიბე. მაგრამ ჩახტომა მაინც ვერ გაბედა, წყლის ხმაურობა მოესმა. უკან დაბრუნება არ უნდოდა, ამიტომ ჩამოეკიდა კიბეზე და ყინულის მთის მოახლოებას უცდიდა. ამ დროს ესკიმოსს გაახსენდა რომ თოფი ზევით დარჩა, წასვლა დააპირა. ამ დროს უეცრათ გემი ყინულს გაეხლახუნა, ბავშმა დრო იხელთა, ისსკუპა და გადაეშვა ყინულზე, თოფრა ხელიდან გაუვარდა და საღლაც გახდა რეხვა. როცა ზეზე წამოდგა და რა დარწმუნდა რომ უნებლათ გადარჩა, დაუწყო თოფრას ძებნა. ვერ გაბედა ყინულზე გავლა, ეშინოდა წყალში ჩავარდნისა, უსათუოდ გათენებამდინ უნდა მოეცადა. ამისთვის საჭირო იყო დიდი გამბედაობა, რადგან არ იცოდა სად იყო, ან რაზე იდგა, შესაძლებელი იყო ის პატარა ყინულზე ყოფილიყო, რომელიც თავისუფლათ დაცურავდა ღია ოკეანეში.

გათენდა, ოკაკოკმა თოფრა იქვე ყინულზე იპოვა. თითონ ეს ყინულის მთა თვალუწვდენელ სივრცეზე იყო გადაჭიმული, ირგვლივ წყალი, მხოლოთ პატარა ყინულის ზოლი ავრთებდა ხმელეთზე.

დალამდა, ოკაკოკი ძლიერ სიმარტოვეს განიცდიდა, თუმცა არ ცოდა, სიმშილი კი ძლიერ აწუხებდა. მოიკრუნჩხა, დაიდო თოფრა თავ ქვეშ და ფიქრს მიეცა. სიმშილისგან და სიარულისგან ისე დაილალა, რომ ფეხის გადადგმა ეძნელებოდა. უცებ მოაგონდა ნაჩუქარი ანკესები, ამოიღო თოფრიდან, მაგრამ თევზის მოსატყუებელი არა გააჩნდა რა. იმას გაგონილი ჰქონდა: მშიერი თევზი ყველაფერს მივარდება გადასაყლაპათა. ამიტომ ამოიღო თეთრი ცხვირსახოცი, დასჭრა პატარ-პატარათ, წამოაგო ანკესებზე და წყალში გადისროლა. არ გასულა სულ ხუთი წუთი, რომ ვერცხლის ფერმა თევზის ქეჩომ ანკესზე ბრჭყვიალი დაიწყო. ოკაკოკმა, შეესწავლა რამდენიმე, დაიკმაყოფილა კუჭი და უნდოდა დაესვენებია.

ლამემაც მოატანა, ესკიმოსმა უსაყვედურა თავს გამოპარვისათვის. მესამე დღე გათენდა მას შემდეგ რაც ის ყინულის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზღვაზე დახეტიალობდა. ისევ მოშივდა, წინანდელი დაჭერილი თევზი აღარ მოეძევებოდა, ისევ დაადგა ანკესი, მაგრამ სულ ტყუილათ, ბოლოს ერთი მისთანა დაინძრა ბაწარი, რომ კიდამ ჩვენი მებადური შიგ წყალში არ გადაისროლა, ძლივს გამოათრია ანკესზე წამოგებული ვეებერთელა თევზი. კიდევ გადისროლა ანკესები და ეხლა ბევრი წვრილი თევზი მოჰყვა, დაჯდა, სჭამა და გაუდგა გზას. უეცრათ შორს რაღაცას თვალი მოჰკრა და შიშის ზარმა აიტანა.

—ეს უსათუოთ დათვია,—გაიფიქრა ესკიმოსმა, თოფიც არ ჰქონდა, რა უნდა ექნა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა გაქუსლა ჩრდილოეთით, სრული დარწმუნებული. იმაში, რომ დათვის ყურადღებას ნაპირზე დაგროვილი თევზები მიიქცევენ და გადავრჩებიო.

მალე იგრძნო, რომ სიარულის თავი სრულებით აღარ აქვს, სრულებით ღონე მიხდილი დაეცა ყინულზე და მიიძინა. როცა გამოეღვიძა, ვერც ერთი ცხოველი ვერსად შეამჩნია. როდის მოეღება ბოლო მის ხეტიალს, აგერ ოთხი დღეა დადის და იქნება ნახევარი გზაც არა ჰქონდა გავლილი. სიმშილი უორკეცდებოდა, დაღლილიც ძლიერ იყო, ამასთან დათვსაც მოჰკრა თვალი. ოკაკოკს ელანდებოდა საშიში ცხოველის თვალები, რაც ძალა ჰქონდა გაიქცა, თან თევზებს იჭერდა, ჰყრიდა წყლის ნაპირას, თუმცა ამით დათვებს ვერ დააკმაყოფილებდა. დაღლილობისგან ისე უბნელდებოდა თვალებში, რომ ყველაფერი ირგვლივ შავათ ეჩვენებოდა.

—ოჰ, რათ არ დაუჯერე კაპიტანს? ამოიკვნესა ესკიმოსმა.

—მშვიდობით, ოკაკოკ, დაილრიალა ხმა მაღლა იმან და მწუხარებით მოცულმა ჩრდილეთისკენ გაიხედა, სადაც თავისი საყვარელი სახლი ეგულებოდა.

—მშვიდობით!—გაიმეორა და თვალებში დაუღამდა.

როცა გონს მოვიდა, შორს, სულ შორს რაღაც შავი წერტილი შეამჩნია, ეს წერტილი თანდათან იზრდებოდა. ოკაკოკმა მოიკრიფა უკანასკნელი ღონე და ცხვირსახოცს დაუწყო ქნევა. იქიდანაც სამაგიერო დაუქნიეს, მერე ელვის მსგავსმა გაურბინა თვალის წინ და თოფის გრიალი მოისმა თუ არა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეთრი დათვი სასიკვდილოთ დაჭრილი იმის მახლობლათ დაეცა ყინულზე.

— ოკაკოკ! ოკაკოკ! — მოესმა ნაცნობი მეზღვაურების ხმა. ესენი იყვენ იმ გემის მეზღვაურები კაპიტან უაიტის გამოგზავნილი ამ ესკიმოსის საძებრათ, კაპიტანი მაშინვე მიხვდა, ოკაკოკი ან დაიხრჩო, ან კიდევ სადმე დახეტიალობსო. და მაძებრები გამოუყენა.

რამდენიმე დღის შემდეგ ოკაკოკი იყო თავის ნათესავებში და გაბრწყინვებული თვალებით ურიგებდა ამათ სხვა და სხვა საჩუქრებს: ბიძას აჩუქა სანადირო დანა, დედას ვერცხლის ფული, ქალებს თითო ბრჭყვიალა თაღლითის მძივი უთავაზა.

(თარგმანი)

სადიკოსი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რკინის გზა.

იყო ისეთი დრო, როდესაც მგზავრობა მეტად ძნელი და უსიამოვნო რამ იყო. არსებობდა მხოლოდ უბრალო შარა—გზები და ამ გზებზე ცხენებ შებმულ ეტლებით მოგზაურობდენ ხოლმე. რა თქმა უნდა, თუ კაცი სადმე შორს წასასვლელი იყო, მის მგზავრობას ბევრი დრო სჭირდებოდა. მაგალითად: რა სიჩქარითაც უნდა ევლო ეტლს, თბილისიდან მოსკოვამდი ერთ თვეზე უფრო ადრე მაინც ვერ ჩავიდოდით. თუ ადამიანის მგზავრობა ქალაქებს შუა ასეთი ძნელი და ხანგრძლივი იყო, წარმოიდგინეთ, რა მდგომარეობაში იქნებოდა მაშინ ტვირთის და ბარგის გადატანის საქმე. ბარგით დატვირთულ ურემს ხომ ბევრათ მეტი დრო სჭირდებოდა ხოლმე. მაგრამ რა გაეწყობოდა, რადგან სხვა საშუალება არა მოიპოვებოდა რა, ასე უნდა ემგზავრა ადამიანს. დიდხანს ვერაფერი საშუალება გამოიგონა კაცობრიობამ მგზავრობის გასაადვილებლათ. საუკუნოებით შარა გზებით, გზა ტკეცილებით და ცხენიან ეტლებით კმაყოფილდებოდენ.

ასი წლის წინად, ესე იგი მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში, ინგლისელმა მეხანიკმა ჯორჯ (ანუ ჩვენებურად გიორგი) სტეფენსონმა მოაწყო პირველი ეტლი, რომელიც მოძრაობდა წყლის ორთქლის ძალით—ორთქლ-მავალით. მართალია, პირველი აზრი წყლის ორთქლის ძალის ხმარებისა ჯორჯ სტეფენსონს არ ეკუთვნის, მაგრამ ის ორთქლ-მავალები, რომელნიც სხვებმა მასზე ადრე მოაწყეს, კარგად ვერ დადიოდენ და ამიტომ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მათ არც ხმაროობდენ მოგზაურობისათვის. ამ მიზეზით ორთქლ-მავალის გამომგონებლათ სამართლიანად ცნობილია ჯორჯ სტეფენსონი.

რა არის წყლის ორთქლის ძალა და როგორ მოქმედებს ის? თუ დავაკვირდებით წყლით სავსე ცეცხლზე მდგომარ ქვაბს, დავინახავთ რომ წყლის პირიდან ზემოთკენ ადის ორთქლი: თუ ქვაბს სახურავი არ ხურავს, ოთქლი თავისუფლათ ადის ზემოთ და ჰაერში იფანტება. ხოლო თუ ქვაბს სახურავს დავ-ხურავთ, მაშინ ორთქლი ქვაბიდან ველარ გამოვა და სახურავის ქვეშ შეგროვდება. თუ წყლის დულილმა დიდხანს გასტანა და სახურავ ქვეშ ბლომათ მოგროვდა ორთქლი, მაშინ ის შეიკუმშება და იმდენ ძალას მიიღებს, რომ სახურავს ასწევს და გარეთ გამოვა. თუ სახურავი დავამაგრეთ, მაგალითად რკინის ლურსმნებით და წყალი კი დიდხანს ვადულეთ, მაშინ მოგროვილი ორთქლის ძალა ისე გაძლიერდება, რომ ამ ლურსმნებსაც აგლეჯს.

აქედან ცხადად დაინახავთ, რომ ადამიანს შეუძლია ეს ძალა გამოიყენოს და მითი აამოძრაოს ორთქლ-მავალი. მართლაც ამ ძალით ისარგებლა ჯორჯ სტეფენსონმა თავის ორთქლ-მავალისათვის. ორთქლ-მავალზე მაგარი ქვაბია დადგმული, რომელშიაც წყალი დულს. ეს ქვაბი იმ ქვაბებს როდი ჰგავს, ჩვენ რომ სამზარეულოში ვხმაროობთ — ის მოგრძოა და მრგვალი, როგორც უზარ-მაზარი ჩაის ჭიქა და გძლად სდევს ბორბლებიან ეტლზე. ქვაბი მაგრად არის დაცული სახურავით, რათა მასში ორთქლი ბლომათ მოგროვდეს, შეიკუმშოს და ძალა მიიღოს. დაწოლილ ქვაბს უკანიდან ფეჩი აქვს მიშენებული, რომელშიაც დიდი ცეცხლი ანთია, რომ ქვაბი გაახუროს და წყალი აადულოს. წყალი რომ უკეთ დულდეს, ფეჩის ცეცხლი და კვამლი ქვაბის წყალშია მილებით გაყვანილი ისე, როგორც სამოვარში, რომელსაც ჩვენ კარგად ვიცნობთ. ცეცხლი და კვამლი გაივლიან წყლიან ქვაბში, კარგად ახურებენ და ადულებენ მას და შემდეგ კი გარეთ გადიან იმ მილში, რომელიც ორთქლ-მავალის წინა ნაწილში არის ამაღლებული.

— ეხლა თქვენ დამეკითხებით. ორთქლი როგორ გროვდება-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორთქლ-მავალის ქვაბში ეს კი გავიგეთ, მაგრამ ეს ორთქლის ძალა როგორღა ამოძრავებს ორთქლ-მავალის ბორბლებსო?

წარმოიდგინეთ მრგვალი და მოგრძო რკინის ყუთი იმავე ჩაის ჭიქის მზგავსი. ვთქვათ, ეს ყუთი ორად არის გაყოფილი რკინის ფიცრით, რომელსაც შეუძლია მასში წინ და უკან მოძრაობა.



1 — ორთქლის გამოსაყვანი მილი ქვაბიდან, 2 — შეკუმშული ორთქლი, 3 — რკინის ღერძი, 4 — რკინის ფიცარი.

ამ ფიცარზე დამაგრებულია რკინის ღერძი ორთქლ-მავალის ბორბლებთან შეერთებული. ეხლა წარმოიდგინეთ, რომ ამ რკინის ყუთში, ფიცრის მარცხენა მხარეს ქვაბიდან მილით შევუშვით შეკუმშული ორთქლი. ეს ორთქლი მიაწვება ყუთის შუა ფიცარს ისეთივე ძალით, როგორც ქვაბის სახურავს აწვებოდა, მაგრამ ქვაბის სახურავი მაგრა არის დამაგრებული ⁄ ამიტომ მას ორთქლი ვერ ანძრევდა, ყუთის შუა ფიცარი კი მოძრავია, არაფერი ამაგრებს და ამიტომაც ორთქლის ძალა მას მარჯვნისაკენ გასწევს. ფიცარზე დამაგრებული ღერძიც მარჯვნით მიიწევს, ბორბალს მიაწვება და ნახევრად გადააბრუნებს მას. თუ გვინდა ბორბალი მეორე ნახევარითაც გადაბრუნდეს, მაშინ ყუთის მარჯვენა მხარედან უნდა გამოვუშვათ ორთქლი გარეთ და მარცხენა მხრიდან უნდა შევუშვათ ყუთში ქვაბიდან მილით გამოყვანილი შეკუმშული ორთქლი. ეხლა შუა ფიცარი მარცხნით მიიწევს, ღერძიც მას გაჰყვება და ბორბალი მეორე ნახევრით გადაბრუნდება.

თუ ამ გვარად ოთქლი ხან მარჯვნიდან და ხან მარცხნიდან შევუშვით ყუთში, მაშინ შუა ფიცარი წინ და უკან დაიწყებს სრიალს, ღერძსაც აქეთ-იქით გაქაჩავს და ღერძიც ბორბალს აატრიალებს.

ასეა მოწყობილი ორთქლ-მავალის ბორბლების ბრუნვა. რკინის ყუთები ორთქლმავალის ქვაბს ორივე გვერდით აქვს გაკეთებული,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისე რომ ორთქლის ძალა ორივე მხრიდან ატრიალებს ორთქლ-მავალის ბორბლებს.

ამ გვარად იყო მოწყობილი ჯორჯ სტეფენსონის პირველი ორთქლ-მავალი, რომელსაც მან „როკეტი“ უწოდა. „როკეტი“ ინგლისურად შუშხუნას ნიშნავს. ამ სახელის დარქმევით ჯორჯ სტეფენსონს ის უნდოდა ეთქვა, რომ მისი ორთქლ-მავალი შუშხუნის სისწრაფით ირბენს ხოლმე. მართლაც, თუ ცხენებით შებმულს საუკეთესო ეტლს ავიღებთ, ის ერთ საათში თხუთმეტ ვერსის მეტს ვერ გაივლის, სულ რომ ბევრი ვთქვათ. ჯორჯ სტეფენსონის „როკეტი“ კი ამ დროის განმავლობაში გარბოდა ოც და ათ ვერსტს, ზოგიერთი ორთქლმავალები კი, რომლებსაც ეხლა აშენებენ, ას ვერსტზე მეტს გარბიან ხოლმე. მართლაც შუშხუნის სისწრაფე აქვთ მათ.

ამასთანავე არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ თუ ცხენებიან ეტლს შეუძლია დიდი—დიდი ექვსი კაცის წაყვანა, ორთქლი მიაქანებს ერთბაშად მთელ რიგს ვაგონებისას, რომელშიაც აუარებელი ხალხი ზის და ბევრი ბარგიც აწყვია.

აი რა ძალა ჰქონია თურმე იმ ნაზ და სუფთა ორთქლს, რომელსაც ყოველ დილა—საღამოს ვუცქერით ხოლმე, როცა ის სამოვრის ნახვრეტებიდან ამოდის.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ინჟ. ბ. ჭ—ძე.



ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვა და სხვა სოკოების აღწერა.

ჩაწერილი სოფ. მასწ. ყარამან ჩხეიძესაგან.

ნიყვი—ამოდის ივანობისთვეში და ენკენისთვეში. როგორც სილამაზით, აგრეთვე გემოთიც ითვლება სოკოების მეფედ.

ხახვილო—მტრედის ფერია, საჭმელათ გემრიელია, მოდის ივანობისთვეში.

მტრედო—ესეც მტრედის ფერია, ხახვილოს წააგავს.

ღვინიო.—ღვინისფერია, საჭმელათ მტრედოზე ნაკლებია.

ტარბუკა—ფერათ კრემის ფერია, გემოთი ნიყვსაც სჯობია, ტარი მსხვილი აქვს, გამხმარიდან კარგი წვენი კეთდება. ჩასადებათაც ძალიან კარგია.

მჭადო—ჰეჰკეტასაც ეძახიან—მუქი ყვითელია, რომ გადატეხ, თეთრი რძე გამოდის, გემოთ ტკბილია, უმსაცა სჭამენ.

ვარყა—ფერათ თეთრია, ძალიან ბევრი მოდის უფრო მთებში, როგორც მჭადოს თეთრი რძე გამოდის, ძალიან მწარეა, როცა შეიწვის, სიმწარეს ჰკარგავს.

შავ-ჩოხა—ვარყას ჰგავს, ფერი რუხი აქვს, მწარე არ არის.

წიფლიო—მოწითალო ფერი აქვს, თხელი სოკოა და გემოთი ღვინიოს წააგავს.

ქამა—გარედან თეთრია, შიგნით ღვინისფერია. მოდის შემოდგომაზე, მაღალ ადგილებზე, მინდვრებში, რომელიც ზოგან სულ გადაიფარებიან. პატარა სოკოა და გემო კარგი აქვს. ჩასადებათაც კარგია.

ცხვარო—იგივე ქამაა, მხოლოთ დიდი იზრდება—ნიყვისოდენა. ქამაზე 10-15 ჯერ მეტია, გემოც უკეთესი აქვს.

მაჭკოლა—მოდის შემოდგომაზე ნაყანებში, უფრო გამხმარ ჩირგვის ძირში, ამოდის ბევრი ერთათ, ჯგუფათ. ამ სოკოს ახმობენ, ზამთარში სწვავენ კეცებზე, შეკაზმენ ძმრით და ისე სჭამენ.

მანძილო—გამხმარ ხეზე ებმის მთაში. სანამ თოთოა და რბილი მოაცლიან ხეს, დაჩლეთენ, შესწვავენ კეცებზე, შეკაზმენ ძმრით, ნიგვზით და სხვა.. გემრიელი საჭმელია, თუ დიდხანს დარჩა ხეზე გამაგრდება და აბედათ იქცევა.

გუგულის სოკო—გაზაფხულზე მოდის ბოსტანში. გემოთი და ფერით ქამას წაჰგავს, მხოლოთ ქამაზე მეტი იზრდება.

სოკო-შავა და კიდევ სხვა მრავალი სოკოებია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სრული 27 წლების
ჟურნალი

ალბერი

იყიდება რედაქციაში
75 მ. ცალკე თითო
წლებისა **4** მ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1918 წ.

განახლებული საუმაწვილო ნახატ. ჟურნალი

ჯეჯილი დაარსებულია 1890 წელს.

გამოდგა თვეში ერთხელ, ჟურნალში ორი განყოფილებაა, ბატარებისათვის და მოზრდილთათვის.

ხელის მოწერა მიიღება **თბილისში** ქ. შ. წ. კ. საზოგადოების მაღაზიაში და თვით **ჯეჯილის** რედაქციაში, არტილერიის ქუჩა, № 5.

ჟურნალი წლიურათ ღირს 20 მან. ნახევარი წლით 11 მან. განახლებულ **ჟურნალზე** მონაწილეობას იღებენ საუკეთესო ძალები.

ხელმძღვანელთა ახლათ შემდგარი კომისია (ქრ. შარაშიძე, ალ. ფალავა, ან. ხახუტაშვილი (ცქვიტი) და ნ. ჩაგუნავა—გელაშვილი) შეეცდება ჟურნალის ნორჩ მკითხველებს მიაწოდოს საღი და გონებრივი საზრდო.

ფოსტის ადრესი: Въ тифлисъ въ Ред. Грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджилн“

რედაქტორი—გამომცემელი **ან. წერეთლისა.**

მისაბაძი მაგალითი

ყმაწვილმა თინათინამ ანდრიას ასულმა კლდიაშვილისამ თავის სახელწოდების დღეს საჩუქრათ მიღებული 30 მან. გამოუწერა სოფელ აბაშის სამკითხველოს ჟურნალი ჯეჯილი და გაუგზავნა ძველი სამი წლების ჟურნალის ნომრები.